

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ანი ონიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი პროექტი თემაზე:

**მოდალობის ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი ინგლისურ ენაში და მათი
გადმოცემის ფორმები ქართულ თარგმანებში**

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგისტრის ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ზურაბ ჩხიკვაძე

პროფესორი

გორი

2021

ანოტაცია

ინგლისური ზმნის სისტემაში ცალკე გამოიყოფა ერთი ჯგუფი ზმნებისა, რომლებსაც მოდალური ზმნები ეწოდება. ისინი თავისებურნი არიან როგორც მნიშვნელობით, ისე ფორმით. მოდალური ზმნები არც მოქმედებას გამოხატავენ და არც მდგომარეობას, ისინი გამოხატავენ სუბიექტის დამოკიდებულებას იმ მოქმედების ან მდგომარეობის მიმართ, რომელიც მათთან ერთად ნახმარი ინფინიტივით არის წარმოდგენილი. ამიტომ მოდალური ზმნები დამოუკიდებლად არ იხმარებიან და ინფინიტივთან ერთად ქმნიან შედგენილ მოდალურ შემასმენელს, ასრულებენ რა ნახევრად-დამხმარე ზმნის ფუნქციას. მოდალური ზმნა მოსაუბრე პირს საშუალებას აძლევს იმსჯელოს არა რეალურ, ფაქტიურ მოქმედებაზე, არამედ გამოხატოს მოქმედების შესრულების შესაძლებლობა, უნარი, აუცილებლობა, ვალდებულება, ვარაუდი, ეჭვი, მორალურობა, რჩევა, ალბათობა და სხვა. ამგვარად, მოდალური ზმნით გამოხატული აზრი არ არის ნეიტრალური, ის ემოციურად შეფერილია და სშუალებს გვაძლევს მრავალფეროვნად გამოვხატოთ ჩვენი გრძნობები რეალობის მიმართ. მისი თავისებური ლექსიკური მნიშვნელობის გარდა, თავისებურია მისი გრამატიკული მნიშვნელობაც. გრამატიკული ფორმის თვალსაზრისით ისინი დეფექტურ ანუ ნაკლოვან ზმნებად იწოდებიან მთელი რიგი ზმნური ფორმების არ არსებობის გამო. ეს ნაკლოვანებები განპირობებულია მათი ისტორიული განვითარების პროცესებით. ეს ზმნები არიან ისტორიულად პრეტერიტო - პრეზენტული, სემანტიკურად - მოდალური, მორფოლოგიურად - ნაკლოვანი (დეფექტური), სინტაქსური ფუნქციით - ნახევრად დამხმარე ზმნები. ქართულ ენაში მოდალური ზმნები არ არსებობს. ამიტომ მოდალური მნიშვნელობის გამოხატვა სხვადასხვა ლექსიკური და გრამატიკული საშუალებებით ხდება, რისი დადგენის შესაძლებლობაც მოგვცა თარგმნილი ლიტერატურის შედარებითმა კვლევამ.

Annotation

In Modern English there is a small group of verbs which express neither action nor state, they express the speaker's attitude towards the action or state, expressed by the infinitive following them. The attitude may be: physical or mental ability, possibility, necessity, obligation, permission, supposition, probability, admonition, doubt etc. These are modal verbs. Because of their incomplete meaning they are never used independently, they are always used with the infinitive (without the particle "to") and form the compound modal predicate serving as a semi- auxiliary verb. Modal verbs are at the same time defective because of lacking some grammatical forms, which a verb must have. This lacking comes from the historical development of the preterit- present verbs, from which the modal verbs are originated. That is why in the work modal verbs are discussed in the synchronic and diachronic aspects. On the basis of comparison of the original and translated literature we found the means of rendering the modal verbs in Georgian.

შინაარსი

შესავალი _____ 5

თავი I

მოდალობა, როგორც კატეგორია და მისი გამოხატვის საშუალებანი

§1 მოდალობის კატეგორიის განსაზღვრისათვის _____ 10

§2 მოდალობა როგორ ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია _____ 14

§3 მოდალობა ინგლისურ ენაში და მისი გამოხატვის საშუალებანი _____ 17

§4 მოდალურიზმები ინგლისურ ენაში დამათიეკვივალენტები _____ 26

§5 გრამატიკულ-სემანტიკური შესატყვისები ქართულში

თავი II

ქანრობრივიტიპოლოგია და ტექსტის თარგმანის პრინციპები

§ 1.

ინგლისური ტექსტის თარგმანის შეფასებისა და გადმოცემის ძირითადი პრინციპები ქართულ ენაში _____
__ 37

§2. აუცილებლობის გამოხატველი მოდალურიზმები ინგლისურ

ენაში დამათი თარგმნის საშუალებები ქართულ ენაზე _____ 46

§3 მოდალობა დამხატვრული თარგმანი _____ 52

§4. მოდალურის საშუალებების ენობრივი გადმოცემის წარსახეობა _____
_____ 54

ზოგადი დასკვნები _____ 49

შესავალი

მოდალობა ენათმეცნიერების სემანტიკური კატეგორიაა. მოდალური ფორმები სხვადასხვა ენაში მრავალფუნქციურობითა და პოლისემანტიკურობით გამოირჩევა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ერთი მოდალური ფორმა ზმნის სხვადასხვა ფორმებთან სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებულ მნიშვნელობას იძლევა. ინგლისური ენისათვის ეს თვისება საკმაოდ მნიშვნელოვანი ასპექტია, ვინაიდან ინგლისური ზმნის სხვადასხვა ფორმა მოდალობის ერთ ფორმასთან განსხვავებულ მნიშვნელობას ქმნის. თარგმნის დროს კი ამ სემანტიკური ნიუანსების შესწავლა და გათვალისწინება საკმაოდ დელიკატური საკითხია, ამისათვის საჭიროა ჩამოყალიბდეს კონკრეტულ პრინციპზე დაფუძნებულის სისტემა, რომელიც მოიცავს მოდალური ფორმებით გამოხატულ სხვადასხვა სემანტიკურ დეტალებს. ასეთი სისტემის შექმნა და დანერგვა ენის სწავლებაში აუცილებელი პირობაა, რათა სახელმძღვანელოებში და ასევე სწავლების პროცესში ენის ეს მნიშვნელოვანი თავისებურება სრულყოფილად და დახვეწილად იქნას შესრულებული. მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილი იქნება ეს სისტემა ინგლისური ენის სწავლების პროცესში გასათვალისწინებელი ხერხებითა და სტრატეგიებით. ნაშრომში განხილული იქნება, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული სწავლების პროცესში ეს ენობრივი სისტემა. მოდალობა ენაში საკმაოდ დიდ როლს ასრულებს გამონათქვამის მიმართებაში მისივე სემანტიკასთან. კერძოდ, მოდალური შინაარსისაგან სრულიად ჩამოშორებული წინადადება ან დისკურსი არ არსებობს. წარმოთქმული წინადადებით ყოველთვის იგულისხმება გარკვეული დამოკიდებულება - კოგნიტური, რაციონალური ან ემოციური. მოსაუბრე თავის დამოკიდებულებას ყოველთვის ავლენს, მაგრამ ხშირად განსხვავდება ამ დამოკიდებულების გამოხატვის ხერხები. წარმოთქმულისადმი დამოკიდებულება შეიძლება გამოვხატოთ ზმნის კილოსა ან მოდალური ელემენტების გზით, ფოკუსირებით, ვერბალურად,

ინტონაციითა და ჟესტიკულაციით. მოდალობის, როგორც სემანტიკური კატეგორიის გადმოცემის ერთ-ერთ საშუალებად მოიაზრება ის ენობრივი ფორმები, რომლებიც კონტექსტში კონკრეტულ მოდალურ მნიშვნელობასასახავენ. ამგვარად, მოდალობის გამომხატველ ძირითად საშუალებებად მიიჩნევა მოდალური ზმნები და ელემენტები. ენაში არსებული მოდალური ზმნებისა და მათი სისტემის შესწავლა ენის შესწავლის ყველა საფეხურზე ხდება. ამიტომ, აუცილებელია განისაზღვროს, თუ რომელი ენობრივი დონის შესწავლა ხდება რომ შესაბამისად მოხდეს შესაბამისი ფორმისა და სემანტიკის მიწოდება. მისი ლექსიკური თავისებურების გარდა, ინდივიდუალურია მისი გრამატიკული ექსპრესიაც. გრამატიკული თვალსაზრისით, გამონაკლის ზმნებად მიიჩნევიან არასტანდარტული ზმნური ფორმების გამო. ეს ნიშნები კი განპირობებულია მათი ისტორიული წარმოშობისგან. ეს ზმნები არიან ისტორიულად - პრეზენტული, სემანტიკურად - მოდალური, მორფოლოგიურად - ნაკლოვანი, სინტაქსური ფუნქციით - ნახევრად დამხმარე ზმნები. მეცნიერული თვალსაზრისის მიხედვით, ყველა ენობრივ სისტემას ინდივიდუალური სემანტიკური სტრუქტურა აქვს, რომელიც აერთიანებს, როგორც ვერბალურ, ასევე არავერბალურ განზომილებებს. ყოველი ენა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მოდელით შეიძლება ვუწოდოთ უნიკალური (ქორიძე 2010: 421).

ზოგადი დახასიათება.

მოდალობა არის სუბიექტის დამოკიდებულების გამომხატვა რაიმე მოვლენის, მოქმედების ან მდგომარეობის მიმართ, რომელიც რეალურად არსებობს ჩვენგან დამოუკიდებლად, ე.ი. ეს არის ობიექტური რეალობის სუბიექტურად ასახვა. მოდალობის, როგორც ენობრივი მოვლენის საშუალებით, ჩვენ შეგვიძლია გამოვხატოთ მოქმედების შესაძლებლობა (possibility), აუცილებლობა, საჭიროება(necessity), სასურველობა (desirability), მიზანშეწონილება (expediency), პიროვნების ფიზიკური ან გონებრივი უნარი (physical or mental ability), ნებადართულობა (permission), ვალდებულება (obligation), მოვალეობა (duty), მორალურობა (morality), დარწმუნებლობა (certainty), ვარაუდი (supposition), ეჭვი (doubt), საყვედური (admonition), აკრძალვა (prohibition), რჩევა (advice), ალბათობა (probability), გაკვირვება (surprise), გაღიზიანება (irritation) და სხვ.

მოდალობა არის სუბიექტის დამოკიდებულების გამომხატვა რაიმე მოვლენის, მოქმედების ან მდგომარეობის მიმართ, რომელიც რეალურად არსებობს ჩვენგან დამოუკიდებლად, ე.ი. ეს არის ობიექტური რეალობის სუბიექტურად ასახვა.

მოდალობის, როგორც ენობრივი მოვლენის საშუალებით, ჩვენ შეგვიძლია გამოვხატოთ მოქმედების შესაძლებლობა (possibility), აუცილებლობა, საჭიროება(necessity), სასურველობა (desirability), მიზანშეწონილება (expediency), პიროვნების ფიზიკური ან გონებრივი უნარი (physical or mental ability), ნებადართულობა (permission), ვალდებულება (obligation), მოვალეობა (duty), მორალურობა (morality), დარწმუნებლობა (certainty), ვარაუდი (supposition), ეჭვი (doubt), საყვედური (admonition), აკრძალვა (prohibition), რჩევა (advice), ალბათობა(probability), გაკვირვება (surprise), გაღიზიანება (irritation)და სხვ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოდალობა საშუალებას აძლევს მოსაუბრე პირს, რომ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება არა- ფაქტობრივ (non- factual) და დროის ცნებისაგან თავისუფალი ელემენტების მიმართ მოცემულ სიტუაციაში.

ავიღოთ სამი ასეთი წინადადება:

He is coming.

He is **probably** coming.

He **might** come.

პირველი წინადადება გამოხატავს ფაქტს, მეორე მოქმედება არ არის ფაქტიური და ამ არა- ფაქტობრიობას ხაზს უსვამს სიტყვა probably, რომელიც არ არის ზმნის ნაწილი. მესამე წინადადება შინაარსობრივად ახლოა მეორესთან, ასევე არა ფაქტობრივ მოქმედებას გამოხატავს, ოღონდ ამ შემთხვევაში ის გადმოცემულია მოდალური ზმნით might.

ზოგადად **მოდალობა** საკმაოდ მრავლისმომცველი საკითხია. მოდალობის გამოხატვა არ შეილება დავუკავშიროთ მხოლოდ ერთ სუბიექტს, მაგ. ქვემდებარეს. მოდალობა ყოველთვის გულისხმობს ორ პიროვნებას - ქვემდებარე, რომელიც მოქმედებს და მოლაპარაკე ან მსმენელი პირი, რომელიც აზრს გამოთქვამს ამ მოქმედების შესახებ.

თემის მიზანი.

ჩვენი მიზანია განვიხილოთ ეს ზმნები როგორც დიაქრონულ, ისე სინქრონულ ასპექტში, ე.ი პირველ რიგში განვიხილოთ ამ ზმნების ისტორიული განვითარება ინგლისური ენის ისტორიის პერიოდების მიხედვით (ძველ, საშუალო, ახალ და უახლეს პერიოდში) რადგან ეს განხილვა ნათელს მოჰფენს მოდალური ზმნების ბევრ ისეთ თავისებურებას, რომელიც ვერ აიხსნება თანამედროვე ინგლისური ენის ნორმებით, რის გამოც ისინი ითვლებიან ნაკლოვან ზმნებად შემდეგ განვსაზღვროთ მათი ადგილი თანამედროვე ინგლისური ენის ზმნის სისტემაში მათი დეტალური განხილვის საფუძველზე. ნაშრომის მიზანი გვკარნახობს მოდალური ზმნის ქართულ ენასთან მიმართების გარკვევას, რადგან ჩვენს მშობლიურ ენაში არ არსებობს მოდალური ზმნა, როგორც ასეთი. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ უარვყოფთ ისეთი მოვლენის არსებობას, როგორც მოდალობაა, მაგრამ მისი გამოხატვა, სხვადასხვა ლექსიკური საშუალებებით ხდება. აქედან გამომდინარეობს თემის აქტუალობაც.

კვლევის ამოცანები.

ჩვენი ამოცანაა დაწვრილებით განვიხილოთ მოდალური ზმნები, მათი ლექსიკური მნიშვნელობა, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებები. განსაკუთრებით შევჩერდეთ აუცილებლობის და ვალდებულების გამომხატველი ზმნებზე და თარგმნილი ლიტერატურის ორიგინალთან შედარების საფუძველზე გამოვიკვლიოთ, რა გრამატიკული ან ლექსიკური საშუალებებით ხდება მათი გადმოცემა ქართულ ენაზე. ამ მიზნით ჩვენ შევისწავლეთ ინგლისური და ამერიკული პროზის ნიმუშები და მათი ქართული თარგმანები.

1. E. Hemingway “ A Farewell to Arms”
2. E. Hemingway ” Fiesta”
3. E. Hemingway ” To Have and Have Not”
4. E. Hemingway ” The old Man and the Sea”
5. J. Galthworthy ” Forsythe Saga” ” The Man of Property”
6. 6. O. Wilde ” The Picture of Dorian Gray”

7. Ch. Dickens "David Copperfield"

8. ე. ჰემინგუეი " მშვიდობით იარაღო " თარგმანი ვ. ჭელიძისა

9. ე. ჰემინგუეი " ფიესტა " (" აღმოხდების მზე ") თარგმანი ვ. ჭელიძისა

10. ე. ჰემინგუეი " ქონა თუ არ ქონა " თარგმანი ვ. ჭელიძისა

11. ე. ჰემინგუეი " მოხუცი და ზღვა " თარგმანი ვ. ჭელიძისა

კვლევის მეთოდი.

კვლევის მეთოდად ჩვენ გამოვიყენეთ გრამატიკული და ლექსიკური

ანალიზი და შედარება - შეპირისპირებითი მეთოდი, რაც აუცილებლად მიგვაჩნია განსხვავებული გრამატიკული წყობის მქონე ენების ენობრივი მოვლენის შედარებისას, ასევე გამოვიყენეთ თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდი.

პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომს, თავისთავად, ექნება როგორც პრაქტიკული, ისევე თეორიული ღირებულება. რამდენადაც ანალიზის შედეგად ნაშრომი მიიღებს პასუხებს მოდალობის ფორმებისა და სემანტიკის საკითხებზე განსხვავებულ ჭრილში, რომელიც, ფაქტიურად, შეიძლება რომ გამოყენოს, როგორც გზამკვლევიმასალა მოცემული თემით დაინტერესებული პედაგოგებისთვის და სტუდენტებისთვის. ნაშრომი, ასევე, საინტერესო იქნება მხატვრული თარგმანით დაინტერესებული პირთათვის, რადგან, ის სტილისტური თუ გრამატიკული დეფექტები, რომლებიც საკმაოდ ხშირად ვლინდება ქართულ-ინგლისურ ან ინგლისურ-ქართულ თარგმანებში, დაკავშირებულია მოდალობასთან, რაც აშკარად თვალშისაცემია მხატვრული თარგმანის სიტუაციაში და არა მხოლოდ. ის ხშირად ქართული ზმნების სპეციფიკურობის გაუთვალისწინებლობის შედეგია. ამდენად, „ენობრივად გაუმართავი, ანუ ნორმატიული სტილისტიკის დონეზე დაბლა მდგომი თარგმანები არ უნდა იბეჭდებოდეს“ (ფანჯიკიძე 1999: 33); ნაშრომით, აგრეთვე, დაინტერესდებიან ლექსიკოგრაფები, მოდალობის გამომხატველი საშუალებების მაქსიმალური სიზუსტით და თვალსაჩინო მაგალითისთვის. აქდან გამომდინარე, კვლევის შედეგად დადებული დასკვნები გასათვალისწინებელი იქნება, როგორც

ქართული და ინგლისური ენების, ისევე ენათმეცნიერებისთვის, როგორც დარგის, შემდგომი განვითარებისათვის.

თავი I მოდალობა, როგორც კატეგორია და მისი გამოხატვის საშუალებები

§1. მოდალობის კატეგორიის განსაზღვრისათვის

სიტყვა „მოდალობა“ ლათინური სიტყვაა „modus (modi) 1. ზომა; რაოდენობა; 2. სახე, გვარი; hoc modo ამნაირად; modo როგორც; in modum სახითმოდალობა საკმაოდ ფართო სპექტრის მომცველი თემაა. იგი არის კატეგორია, რომელიც ბოლო წლებში ენათა ტიპოლოგიური კვლევების საგნად იქცა. მოდალობათა ლოგიკურ სისტემაში ერთიანდებიან შემდეგი ჯგუფები:

1. *ალეთიკური მოდალობა (ჭეშმარიტების) – აუცილებელი, შესაძლებელი, შემთხვევითი, შეუძლებელი;*
2. *ეპისტემური მოდალობა (ცოდნის) – განსაზღვრული (გადაწვეტილი), განუსაზღვრელი (გადაუწყვეტელი), ყალბი;*

3. დეონტური მოდალობა (ვალდებულების) – ვალდებული, დასაშვები, ინდიფერენტული, აკრძალული;
4. ეგზისტენციალური მოდალობა (არსებობის) – უნივერსალური, არსებული, ცარიელი.

მოდალობა არის სუბიექტის დამოკიდებულების გამოხატვა რაიმე მოვლენის, მოქმედების ან მდგომარეობის მიმართ, რომელიც რეალურად არსებობს ჩვენგან დამოუკიდებლად, ე.ი ეს არის ობიექტური რეალობის სუბიექტურად ასახვა.

ზოგადად მოდალობა საკმაოდ მრავლისმომცველი საკითხია. მოდალობის გამოხატვა არ შეილება დაუკავშიროთ მხოლოდ ერთ პიროვნებას, მაგ. ქვემდებარეს. მოდალობა ყოველთვის გულისხმობს ორ პიროვნებას – ქვემდებარეს, რომელსაც მოქმედება მიეწერება და მოლაპარაკე ან მსმენელ პირს, რომელიც აზრს გამოთქვამს ამ მოქმედების შესახებ.

მაგ.: John plays football every weekend.

ენათმეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ მოდალობა გრამატიკული კატეგორიაა (Будагов 1958: 294; Palmer 2001: 6), კერძოდ კი – სინტაქსური (Ермолаева 1977; Зверева 1983: 17). ყველაზე მეტი მომხრე ჰყავს თვალსაზრისს, რომ მოდალობა სემანტიკური კატეგორიაა (Колшанский 1961: 97; Зверева 1983: 18). ერთი რამ უდაოა იგი ერთ-ერთი ენობრივი უნივერსალია – სხვადასხვა ენებში გამოხატული ლექსიკური, გრამატიკული (საკუთრივ მოდალური), ტექსტუალური და ინტონაციური, საშუალებებით. უნდა აღინიშნოს, რომ, „მიუხედავად მისი უნივერსალურობისა იგი თავის გამოხატულებას პოულობს ენის სხვადასხვა დონეზე, თუმცა, განსხვავებული ენები სხვადასხვაგვარად გადმოსცემენ მოდალობის სხვადასხვა ასპექტს, რომელთა შორისაც მკვეთრად გამოხატულ და გაცილებით თვალსაჩინო როლს ასრულებენ გრამატიკული საშუალებები (ბაბუხადია 2010: 12). განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დ. ე. როზენტალისა და მ. ა. ტელენკოვას (Розенталь, Теленкова 1976) „საენათმეცნიერო ტერმინთა ლექსიკონ-ცნობარი“, რომელშიც მოდალობის განყოფილება ცალკე სალექსიკონო ერთეულებითაა წარმოდგენილი, როგორცაა: მოდალური ზმნები, მოდალური სიტყვები, მოდალური ნაწილაკები. აქვე მოტანილია მოდალობის დეფინიცია, როგორც „გრამატიკულ-სემანტიკური კატეგორია, რომელიც გამოხატავს მთქმელის დამოკიდებულებას ნათქვამის მიმართ, ობიექტური სინამდვილისადმი გამოთქმულის დამოკიდებულების შეფასებას. მის მიერ გამონათქვამის შინაარსი შეიძლება გააზრებულ იქნეს, როგორც რეალური ან არარეალური, შესაძლებელი ან შეუძლებელი, აუცილებელი ან სააღბათო, სასურველი ან არასასურველი და ა. შ. დროისა და პირის მნიშვნელობებთან ერთად მოდალური მნიშვნელობები აწარმოებენ პრედიკატიულობის კატეგორიას. მოდალობა გამოიხატება გრამატიკული და ლექსიკური საშუალებებით (კილოს

ფორმებით, მოდალური სიტყვებითა და ნაწილაკებით, ინტონაციით)“ (Розенталь & Телен-кова, 1976: 180).

აქვე გამოცალკევებულია მოდალური ზმნები ჯგუფი: „ვალდებულების, შესაძლებლობის, სურვილის მნიშვნელობის მქონე ზმნები, რომლებითაც გამოიხატება ვალდებულება, უნარი, შეძლება, ნდომა, სურვილი, განზრახვა, მცდელობა, იმედის ქონა, წამოწყება და სხვ. მთქმელის დამოკიდებულება გამონათქვამის შინაარსის მიმართ“. (Розенталь & Теленкова, 1976: 181). ასევე, მოდალური სიტყვები: „სიტყვათა ლექსიკოგრამატიკული თანრიგი, რომელთა საშუალებითაც მთქმელი აფასებს გამონათქვამს მთლიანობაში ან მის ცალკეულ ნაწილებს მათი ობიექტურ სინამდვილესთან დამოკიდებულების თვალსაზრისით“. ასევე, მითითებულია მოდალური სიტყვების კონკრეტული ფუნქცია, გამოხატონ: ა) ნათქვამის შესაძლებლობა, ალბათობა, ვარაუდი, ეჭვი მის **ნამდვილობაში**, ბ) გამონათქვამის ლოგიკური ანალიზი, მასში მოტანილი ინფორმაციის რეალურობა;

გადმოცემული შინაარსის მიხედვით, მოდალობის სამ სისტემას გამოჰყოფს: 1)ნატვრა, მიზანი; 2)აუცილებლობა, ვალდებულება; 3)დარწმუნებულობა, შესაძლებლობა. ავტორის აზრით, ეს სქემა ზოგადია, რადგან ენების მიხედვით სისტემები შესაძლოა შეასწორონ: შეივსოს ახალი ელემენტებით ან სულაც დაემთხვეს ერთმანეთს (ლაიონზი: 326).

ნაშრომში მოდალობა განალიზებულია, პირველ რიგში, როგორც სემანტიკური კატეგორია, რომელიც სხვადასხვა ენებში გადმოცემულია , ლექსიკური, ტექსტუალური, გრამატიკული, საკუთრივ მოდალური, ინტონაციური საშუალებებით. მათი ერთი და იმავე ასპექტის სარეალიზაციოდ მოსაზრების საშუალება განპირობებულია მოდალობის სემანტიკურად უნიკალური კატეგორიით.

პალმერი თავის წიგნში “მოდალობა და ინგლისური მოდალური ზმნები” (Modality and English Modals) მოდალური ზმნების შესახებ ამბობს:

“ ეჭვი არ არის, რომ მოდალური ზმნების სრული სურათი არის უკიდურესად მოუწესრიგებელი და დაულაგებელი, და რაც ლინგვისტთა უმრავლესობას

შეუძლია, ეს არის ის, რომ გამოავლინონ რაღაც წესრიგი, მიგვითითონ რაღაც სისტემურობაზე, შესაბამისობებზე, პარალელიზმებზე. ეს არის საკითხი, რომელიც მარტივ ახსნას ექვემდებარება და რომლის საშუალებითაც ენებში მოდალობა განიხილული. ჯერ-ჯერობით არ არსებობს ზოგადი განმარტება, რომელიც მოიცავს მოდალობის მთელ შინაარსს. სხვადასხვა ავტორები ყურადღებას ამახვილებენ მოდალობის სხვადასხვა ასპექტებზე განსხვავებულ პოზიციიდან და მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ეს კატეგორია ძირითადად მიჩნეულია როგორც „მიმართება: ქვემდებარისა შემასმენელთან რომელიც, გამოხატულია მოდალურ ზმნებში; აღნიშნული მოქმედებისა რეალობასთან, რომელიც გამოხატულია

მოდალური სიტყვებითა და კილოს ფორმებით“ (ერმოლაევა 1977: 97-106;). ძირითადად, არსებობს ენებში მოდალობის განიხილვის ორი გზა: მოდალური სისტემა და კილო. თითოეულ კატეგორიაში ორივე კატეგორიაა წარმოდგენილი, თუმცა, უმეტეს ენებში მხოლოდ ერთი გამოითქმის. ცნობილია, რომ კილო არის ზმნის გრამატიკული კატეგორია, რომელიც გამოხატავს მოსაუბრის დამოკიდებულებას გამოხატული აზრის მიმართ. ტრადიციულად, კილო ზმნის გრამატიკულ კატეგორიად ითვლება, რადგან, „უმეტეს შემთხვევაში, ეს არის ზმნის ფორმა, რომელშიც გამოხატულია მოსაუბრის დამოკიდებულება ფაქტის ან პირობის შესრულების / შეუსრულებლობის მიმართ. კილოს კატეგორია მთლიანად ეკუთვნის წინადადების მნიშვნელობას და არა მხოლოდ ზმნას“ (ყიფიანი: 2008: 25). მოდალობა, ეს არის კატეგორია, რომელიც მოიცავს ორი სახის მოდალურ დამოკიდებულებას: გარე და შიდა მოდალობა. ამის მიხედვით გამოიყოფა მოდალობის ორი ტიპი: სუბიექტური და ობიექტური. ობიექტური (გარე) მოდალობა გულისხმობს მოსაუბრის ნდობის ხარისხს. ობიექტური მოდალობის გამოხატვის მთავარ გრამატიკულ საშუალებად ითვლება კილოს კატეგორია (თხრობითი, იმპერატიული ანუ ბრძანებითი და კავშირებითი), დროის კატეგორია, სხვადასხვა სახის ინტონაცია (კითხვა წარმოთქმის ინტონაცია) და ა.შ. მოქმედ პირსა და მის მიერ შესრულებულ ქმედებას შორის ურთიერთდამოკიდებულება (რწმენის, თანხმობის, ეჭვის ან უთანხმოების გამოხატვა).

სუბიექტის მოდალობის ამსახველ ენობრივ საშუალებებს წარმოადგენს მოდალური სიტყვები და ნაწილაკები, ლექსიკური განმეორებანი სიტყვათა წყობა, ინტონაცია (მახილის, წუხილის, ეჭვის, სიხარულის, რწმენის ქონისა და არქონის, გაკვირვების, ირონიისა და სხვა), ჩართული სიტყვები და ჩართული წინადადებები, შორისდებულები, სიტყვათშეთანხმებები. მოდალური საშუალებების დახმარებით გამოხატულია სუბიექტის დამოკიდებულება ქმედებისადმი, რეაგირება შექმნილ სიტუაციაზე და ის თუ როგორ მართავს მას. ამრიგად, ობიექტური მოდალობის შემთხვევაში, მოდალობის აზრი გამოიხატება სინტაქსურ დონეზე კილოს ფორმების მეშვეობით. თხრობითი კილოს ფორმებით გამონათქვამში გამოხატული მოქმედება განიხილება, როგორც რეალური ფაქტი, იმ კილოთა ფორმების საპირისპიროდ, რომლებშიც მოქმედება წარმოდგენილია, როგორც არარეალური, შესაძლებელი, პირობითი, ირეალური, სასურველი, აუცილებელი და ა.შ.).

კილოს ფორმების რაოდენობის შესახებ ინგლისურ ენაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ზოგიერთი ავტორი განიხილავს განსაკუთრებული კილოს ფორმებს მოდალური მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა ზმნების გამოყენებით, რომლებიც წარმოადგენილნი არიან მოდალურ ზმნებთან მარტივი და რთული უპირო ფორმების კომბინაციით.

ენათმეცნიერი ი. ნაიდი (E. Nide) თავის წიგნში “Morphology: the Descriptive Analysis of Words” 17 კილოს ფორმას განიხილავს ხოლო მაქს დეიჩბეინი (Max Deutschbein) – 16 კილოს ფორმას 4 ქვედანაყოფით. XIX საუკუნიდან მოყოლებული დღემდე სხვადასხვა ენათმეცნიერი - სუიტი, პალმერი, იესპერსენი, ნესფილდი, კერმი, ტრნკ, ილიში, სმირნიცკი, განშინა, ვასილევსკაია, კაუშანსკაია, და სხვები ირიბი კილოს (Oblique Mood) სხვადასხვა ფორმებს ასახელებენ და მათ რაოდენობას ვითვლით 2 - დან 17-მდე. აკად. ა. სმირნიცკი შემდეგნაირად განმარტავს კილოს კატეგორიას:

“ პირველ რიგში საჭიროა მივუთითოთ, რომ “კილოს” ქვეშ იგულისხმება გრამატიკული კატეგორია, რომელიც გამოხატავს მოდალობას ანუ გამონათქვამის შინაარსის დამოკიდებულებას სინამდვილის მიმართ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კილო - ეს არის მოდალობა, გამოხატული სიტყვის გარკვეული ფორმებით.”

შემდეგ ა. სმირნიცკი გვაძლევს ასეთი ფორმების შეპირისპირებას:

His reading, him to read, him reading, he reads, he would read, that he read [red] და დასძენს: „ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ყველა ამ მაგალითში ერთსა და იმავე შინაარსზე ვიღაცა პირი (he) დაკავშირებულია ერთსა და იმავე მოქმედებასთან “კითხვა” (to read), თუმცა პირველ ოთხ მაგალითში მოქმედება სინამდვილეს შეესაბამება, მაგრამ ბოლო ორ მაგალითში გამოსახულების პლანი მოდალობის ნიშანს ატარებს სინამდვილის მიმართ. To read - ინფინიტივი და reading - გერუნდივი ნეიტრალურია მოდალობის მიმართ, მაგრამ he would read და that he read[red] წარმოადგენენ კილოს კატეგორიალურ ფორმებს.”

კილო არა მხოლოდ განსაკუთრებული მოდალური მნიშვნელობის მატარებელია, არამედ ზოგიერთი ენათმეცნიერი კილოს ფორმებს სწორედ მოდალური ზმნების საშუალებით აწარმოებენ. მაგ. პალმერი, ზანდვოორტი, ნესფილდი და კერმი კავშირებითი კილოს ფორმების ძირითად მაწარმოებლად should, would, might ზმნებს თვლიან.

ზოგიერთი ავტორი ასე ღრმად არ იჭრება, მაგრამ კილოს ფორმებში განიხილავენ ყოველგვარ კომბინაციას მოდალურ ზმნებთან და მნიშვნელობით მასთან მიახლოებულ დამხმარე ან ნახევრად დამხმარე ზმნებთან.

§2. მოდალობა, როგორც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია.

მოდლობის ცნებამ განიცადა ჯერ კიდევ არისტოტელეს ფორმალურ-ლოგიკური სწავლების ძლიერი გავლენა. ამ მიდგომის ანარეკლი ენაში გახლავთ კილოს სამი კატეგორიის გამოყოფა: თხრობითის, კითხვითის და ბრძანებითის, რომლებიც არსებობენ ლოგიკაში მოდალური კავშირის შესაბამისად. მოდალობის მრავალფეროვნება, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ენის საშუალებით, დაყვანილ იქნა სამ მკაცრად შეზღუდულ ჯგუფამდე, სადაც მოდალობის გამოხატვის ერთადერთ ხერხად მიღებული გახდა მორფოლოგიური ფორმები. წარმოიშვა წინააღმდეგობა მოდალობის ცნების, როგორც წინადადების კატეგორიისა და კილოს, როგორც სიტყვის კატეგორიის გაგებას შორის. აღმოჩნდა, რომ მოდალობის კატეგორიის არსი განიხილება სინტაქსურ დონეზე, ხოლო მისი გამოხატვა – მორფოლოგიურ დონეზე (nebukova 1972: 2). მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ენის გრამატიკაში, მოდალობა დღემდე განიხილება როგორც მორფოლოგიური მოვლენა და, აუცილებლად, განიხილება კილოს გრამატიკულ კატეგორიასთან ერთად. თვით ცნება „კილოს“ გაგება ბოლო პერიოდში გაფართოვდა იმის გამო, რომ მის ფორმათა სისტემაში გამოხატვის სინთეზური და ანალიზური ხერხებიც, რამაც, თავისთავად, გამოიწვია კილოს კატეგორიის გაფართოება.

როგორც ცნობილია, კილო ზმნის ის გრამატიკული კატეგორიაა, რომელიც გამოხატავს მოსაუბრის დამოკიდებულებას გამონათქვამში მოტანილი აზრის მიმართ და რომელიც უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილია ზმნის ფორმათა ერთობლიობით, რომელთა ფუნქციაა აღნიშნოს მოსაუბრის დამოკიდებულება ფაქტის ან პირობის შესრულების/შეუსრულებლობის მიმართ. იგი მთლიანად წინადადების მთლიან შინაარსს განეკუთვნება და არა მხოლოდ ზმნას.

რაც შეეხება კილოს, ინგლისურ ენაში კილოს სამი ტიპი გამოიყოფა: თხრობითი (indicative), ბრძანებითი (imperative) და კავშირებითი (subjunctive). კომუნიკაციისას კილოს ეს სამი ტიპი რეალიზდება ისეთი სამეტყველო აქტებით, როგორცაა: თხოვნა, მოთხოვნა, ბრძანება, ნება-სურვილი, წადილი, ნდომა, ნატვრა, ჩივილი, დაპირება და სხვა.

თხრობითი კილო არამარკირებული ფორმაა და მოლაპარაკის აზრებს წარმოგვიდგენს როგორც ფაქტობრივს. ეს ფაქტი ან ფაქტები შეიძლება ნამდვილი ან ყალბი, შესრულებული ან შეუსრულებელი, მოსალოდნელი ან მოულოდნელი და ა. შ.

ხოლო, ბრძანება, იძულება, წაქეზება, დარიგება, ჭკუის სწავლება და ა.შ. ბრძანებითი კილოთი გამოიხატება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დღესდრეობით ინგლისელები ყველანაირად ერიდებიან კატეგორიულ-იმპერატიული

მნიშვნელობების კატეგორიული ფორმით გადმოცემას და, შესაბამისად, თანამედროვე ინგლისურ ენაში უხვადაა წარმოდგენილი ბრძანების თუ დარიგების მნიშვნელობათა გადმოსაცემი შერბილებული, არაპირდაპირი, ნაკლებადკატეგორიული ფორმები.

სიტყვა „subjunctive” ეტიმოლოგიურად ნიშნავს რაიმეზე ზედნადებს. ეს „ზედნადები“, „დასამატებელი“ გამოხატავს პირობას, ჰიპოთეზას, შესაძლებლობას. სიტყვა ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია ლათინურ სიტყვასთან subjunctivus „კავშირებითი“. ეს მნიშვნელობა დომინირებს კავშირებით კილოში, რადგან მოქმედებები, რომებიც ამ საშუალებით გამოიხატება, შეიძლება იყოს აშკარად, ექსპლიციურად გამოხატული ან ნაგულისხმები. სწორედ ამიტომ, ლოგიკურია, რომ კავშირებითი კილოს ფორმა, ძირითადად, დამოკიდებულ წინადადებაში იხმარება.

კავშირებითი კილოს ძირითადი ფუნქციაა წარმოადგინოს მოლაპარაკის მოქმედება როგორც არაფაქტობრივი, სათუო, არარეალური. ეს მნიშვნელობები გამოიხატება რიგი სინთეზური და ანალიზური ფორმებით.

ჯერ კიდევ ვინოგრადოვს მიაჩნდა, რომ ყოველი წინადადება შეიცავს მოდალური მნიშვნელობის არსებით კონსტრუქციულ ნიშანს, ე.ი. მიუთითებს რეალობასთან კავშირზე. (vinogradovi 1950: 41). სინტაქსური მიდგომის თვალსაზრისით განასხვავებს „მოდალურ“ სემანტიკაში მიესადაგება სხვადასხვა წინადადებათა სტრუქტურული მოდელები. სინტაქსური მიდგომა, ენაში მოდალური ურთიერთობების გამოსახატავად, სრული მრავალფეროვნების მთლიან აღწერას ვერ ახერხებს. მაგალითად, არც თუ ისე ნათელია, სტრუქტურის „მოდალურ ზმნას + ინფინიტივი“ სტატუსი. ზოგჯერ ტიპოლოგიაში ასეთი წინადადებები აღიარებულია დამოუკიდებელ მოდელებად, რომელიც ასახავს მოდალური ურთიერთობის შემდეგ სახეებს: შესაძლებლობა, ბრძანება, ვალდებულება: she can go, she must go. არც ერთი ჩვენთვის ნაცნობ ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაში არ არის ნახსენები მოლაპარაკის სუბიექტური დამოკიდებულება გამოთქმულისადმი, რომელიც რეალიზდება „მოდალურ ზმნას + ინფინიტივი“ საშუალებით.

ეს და სხვა საკითხები რომლებიც არსებობს მოდალობისადმი თანამედროვე მიდგომაში, შეიძლება, გარკვეულ წილად გავანეიტრალოთ ფუნქციურ-სემანტიკური მიდგომით, რომელიც დაფუძნებულია ენობრივი კატეგორიების გამოყოფის და მათი გამოხატვის სემანტიკურ პრინციპზე. აზრი ენაში მოდალობის გამოხატვის სხვადასხვა დონის შესახებ გავრცელებული იყო რუსული სკოლის ლინგვისტთა შრომებში, მაგ.: ბ.ა. ილიში აღნიშნავდა, რომ წინადადებაში მოდალობა გამოიხატება სხვადასხვა საშუალებით. მოდალური სიტყვებით, მოდალური ზმნებით, ზოგჯერ უბრალოდ სიტყვათა ჯგუფით, ინტონაციით და ბოლოს, ზმნის კილოთი ((ილიში 1948: 190).

მაგრამ პრაქტიკამ და გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ რეალობაში ინგლისურ ენაში მოდალობის ფუნქციური ერთეულებით გამოხატვა ვერ დამკვიდრდა. მცდელობა, რათა , მოდალობა გრამატიკული კატეგორია გამხდარიყო გერმანულ ენაში. კვლავ გადაუწყვეტელია, თუმცა ფუნქციური და კომუნიკაციური მიდგომის ელემენტები რეალიზებულია ზოგიერთ შრომაში ((Zolotova 1973: 112).

ზოგიერთ ენაში ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიების აღნუსხვისა და კლასიფიკაციის სიმწირე უფრო რთულს ხდის ამ კატეგორიის შედარებით აღწერას. გარდა ამისა, ასეთი კვლევის განხორციელებისას წარმოქმნილ სირთულეებს კიდევ უფრო ამძიმებს ა) მოდალობის კატეგორიის გამოსახატავად არსებული ხერხების არასაკმარისობა; ბ) მოდალობის მნიშვნელობის გამოსახატავად არსებული ხერხების არასაკმარისობა; გ) მოდალობის გამომხატველი ზოგიერთი ფორმის გრამატიკული სტატუსის განსხვავებული გაგება და სხვა.

მეტი უთანხმოება წამოიჭრება პრედიკატულობისა და მოდალობის კატეგორიის შეფასებასთან დაკავშირებით, მოდალობისა და კითხვითობის, პირობითობის და ასევე, მტკიცება-უარყოფისა და კომუნიკაციური პერსპექტივის გამოხატვისას. ჩვენ შევეცდებით გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, რადგანაც მოდალობაზე საუბრისას აუცილებელია ყველა მათგანის გათვალისწინება.

§3 მოდალობა ინგლისურ ენაში და მისი გამოხატვის საშუალებანი

წინამდებარე პარაგრაფში განხილულია მოდალობის კატეგორია ინგლისურ ენაში. მისი ზოგადი აღწერილობით, რომელიც მოყვანილია ინგლისურ ენის წინადადებებში მოდალური ზმნებისა და კვაზი მოდალური ზმნების დახმარებით. ასევე, წარმოდგენილია მოდალობის გამოხატვის ერთ-ერთ საშუალების, მოდალური ზმნების ანალიზი, განხილულია მათი უნარი სინქრონული და დიაქრონული მიდგომების საშუალებით ორი ასპექტის, გრამატიკული დროისა და სემანტიკის გამოხატვისა.

მოდალობის გამოხატვის უამრავი საშუალებებია აქამდე არსებულ მსოფლიო ენებში. მათი შინაარსობლივი ნაირსახეობა იწვევს მოდალურ ერთეულთა სიმრავლეს ენათა

სისტემის სხვადასხვა საფეხურზე, რაც ლინგვისტ მკვლევართა ფართო წრის აქტიური ინტერესის საგანს წარმოადგენს.

ინგლისურ ენაში მოდალობის გამოხატვის ძირითად საშუალებად მოდალურ ზმნები და მათთან დაკავშირებულ ე. წ. კვაზი-მოდალები მოიაზრება, მათ მსგავსი სემანტიკა გააჩნიათ, მაგრამ მოდალური ზმნებისაგან მორფოლოგიურად განსხვავდებიან, რაც მათ გარკვეულ წინადადებებში მოდალური ზმნების შეცვლის საშუალებას აძლევს.

მოდალობა არის სუბიექტის დამოკიდებულების გამოხატვა რაიმე მოვლენის, მოქმედების ან მდგომარეობის მიმართ, რომელიც რეალურად არსებობს ჩვენგან დამოუკიდებლად, ე.ი ეს არის ობიექტური რეალობის სუბიექტურად ასახვა. მოდალობის, როგორც ენობრივი მოვლენის საშუალებით, ჩვენ შეგვიძლია გამოვხატოთ მოქმედების შესაძლებლობა (possibility), აუცილებლობა, საჭიროება(necessity), სასურველობა (desirability), მიზანშეწონილება (expediency), პიროვნების ფიზიკური ან გონებრივი უნარი (physical or mental ability), ნებადართულობა (permission), ვალდებულება (obligation), მოვალეობა (duty), მორალურობა (morality), დარწმუნებლობა (certainty), ვარაუდი (supposition), ეჭვი (doubt), საყვედური (admonition), აკრძალვა (prohibition), რჩევა (advice), ალბათობა (probability), გაკვირვება (surprise), გაღიზიანება (irritation)და სხვ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოდალობა საშუალებას აძლევს მოსაუბრე

პირს, რომ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება არა- ფაქტობრივ (non- factual) და დროის ცნებისაგან თავისუფალი ელემენტების მიმართ მოცემულ სიტუაციაში. ავიღოთ სამი ასეთი წინწადადება:

He is coming.

He is p r o b a b l y coming.

He m i g h t come.

პირველი წინადადება გამოხატავს ფაქტს, მეორე მოქმედება არ არის ფაქტიური და ამ არა- ფაქტობრიობას ხაზს უსვამს სიტყვა probably, რომელიც არ არის ზმნის ნაწილი. მესამე წინადადება, რომელიც შინაარსობრივად ახლოა მეორესთან, ასევე არა ფაქტობრივ მოქმედებას გამოხატავს, ოღონდაც ამ შემთხვევაში ის გადმოცემულია მოდალური ზმნით might.

ინგლისური მოდალური ზმნების შესწავლა ენათმეცნიერთა ფართო ინტერესის საგანს წარმოადგენს, რაც უამრავი კვლევისა და სტატიის ობიექტია, სადაც განხილულია მათი ფუნქციონირების ნიუანსები. „ამ მიმართულებით საინტერესოა მთელი რიგი მკვლევართა შრომები, როგორცაა: (Lightfoot 1979; Plank 1984; Traugott

1989; Pagliuca 1994) და ა. შ. შესაბამისი თავები აქვს დათმობილი მოდალური ზმნების მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებებს ისეთ მეცნიერთა ნამუშევრებში, როგორცაა: პ. კუირიკი (Quirk, 1985) და პ. ჰადლსტონი, ჯ. პულლუმი (Huddleston P. and Pullum J. 2005). მოდალური ზმნების სემანტიკის სისტემურ აღწერას პირველ რიგში ვხვდებით პალმერის (Palmer 1979), აგრეთვე ლიჩის (Leech 1971), პერკინსის (Perkins 1983), კოატის (Coates 1983), კოლინზის (Collins 2009) და ა.შ. მეცნიერთა ნაშრომებში. ბოლო ორი ნაშრომი წარმოადგენს მოდალური ზმნების ფუნქციონირების საფუძვლიან კვლევას. კოატის (Coates 1983) მონოგრაფია დაფუძნებულია ბრიტანულ მასალაზე, რომელიც იქცა მოდალური ზმნების პირველ კვლევად, სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი მოდალური ზმნების შესწავლას, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა შემდგომ კვლევებზე და დღესაც იგი წარმოადგენს მოდალური ზმნებისა და მისი ეკვივალენტების ყველაზე თანამედროვე კვლევას, რომელიც მოიცავს ბრიტანულ, ამერიკულ და ავსტრალიაში გავრცელებული ინგლისურის შეპირისპირებას და, თანამედროვე ტენდენციების გარდა,

რეგიონალურ სტილისტიკაში არსებულ საინტერესო მონაცემებს. შეიძლება ითქვას, რომ დოლინჯერის (Dollinger 2008) კვლევამ საფუძველი ჩაუყარა მოდალური ზმნების ტიპოლოგიურ კვლევას (Palmer 2001). კვაზი-მოდალური გამოთქმები დიდიხნის განმავლობაში პერიფერიულად განიხილებოდა, მაგრამ ხშირი გამოყენების გამოდაიწყეს მათი გაშუქებაც (Perkins 1983, Quirk 1985, Krug 2000, Collins 2009).“ (ნ. გრიგოლია.2018)

სტანდარტულ მოდალურ ზმნებს მიესადაგებიან გერმანიკულ ენებში ისტორიულად უკვე არსებული მსგავსი თავისებურებების მქონე სიტყვათა ჯგუფი, რომლებიც გაერთიანებულნი არიან მსგავსი სემანტიკური, მორფო-სინტაქსური და წარმომავლობითი თავისებურებანით. ესენია: can, may, must, could, might, shall, will, should, would, ought, dare, need. ზმნები ინგლისურ ენაში. ზემოთ ჩამოთვლილი ზმნების მოდალურობის სტატუსი ხშირად გრამატიკოსთა დავის საგანია, რომელზეც შემდგომ თავებში ვისაუბრებთ.

მოდალური ზმნები თანამედროვე გერმანიკულ ენებში არსებულ პრეტერიტო-პრეზენტის ზმნათა ჯგუფს მიეკუთვნებიან და ეს დასახელება იმ თავისებურებათა გამო მოიპოვეს, რომელიც მათ გააჩნიათ: აწმყო დროში ძლიერი ზმნების წინ არსებული ხმოვნებისა და წარსულ დროში სუსტ ზმნებთან დენტალური პრეფიქსის გამო.

ძველი გერმანიკული ენების მსგავსად ძველ ინგლისურშიც არსებობდა პრეტერიტო-პრეზენტის ზმნის ფორმები, რომელთა უმრავლესობას არ ჰქონდა მოდალობის ფუნქცია. დროთა განმავლობაში მათი უმეტესობა გაქრა ან გადაგვარდა და ენაში მოგვევლინნენ სხვა გრამატიკული ფუნქციის მატარებლებად. დანარჩენი კი მცირე სახეცვლილებით გვევლინებიან შემდეგ ძირითად მოდალურ ზმნება, როგორცაა: can (could), must, ought, may (might), shall (should), და dare.

რაც შეეხება will (would) და need ზმნებს ისინი პრეტერიტო-პრეზენტის თავდაპირველი ფორმისანი არ არიან. ზმნა will -ის ძირი არაწესიერი ზმნა willan-ია. მოდალური ზმნის ფუნქცია მან შუასაუკუნეებში მიიღო. რომელიც გაერთიანდა მოდალურ ზმნებთან პერიოდში. ასევე ზმნა need პირვანდელი ადგილი არსებით სახელებს შორის იყო რაც ნიშნავდა და ნიშნავს როგორც „საჭიროებას“ ასევე „აუცილებლობას“.

„გარდა საერთო წარმომავლობისა, ინგლისურ მოდალურ ზმნებს ერთნაირი მორფოლოგიური და სინტაქსური მახასიათებლები გააჩნიათ. პირველ რიგში, დამხმარე ზმნების be და have-ის მსგავსად, მათთვის დამახასიათებელია „პირველადი დამხმარე ზმნის თვისებები“ და განსხვავებით სრულ- მნიშვნელოვანი ზმნებისაგან, მოდალურ ზმნებს შეუძლიათ: ა) თვითონ აწარმოონ უარყოფითი ფორმები; ბ) ინვერსიის საშუალებით აწარმოონ კითხვითი კონსტრუქციები სხვა დამხმარე ზმნების გამოყენების გარეშე გ) მონაწილეობა მიიღონ ზმნის შემდგომ ელიფსისში წინა კონტექსტის რეფერენციით; დ) გამოიყენება კონტრასტული მახვილით ემფატიური პოლარობის შემთხვევაში“. (Hud-dleston 1976: 333).

ცხრილში 1 წარმოდგენილია მოდალური ზმნების, დამხმარე ზმნის ფუნქციით

გამოყენების პირველადი ნიშნები, განსხვავებით სრულმნიშვნელოვანი ზმნებისაგან.

ცხრილი

დამხმარე ზმნის პირველადი ნიშნები მოდალურ ზმნებთან

NICE properties	პირველადი დამხმარე ზმნები	მოდალური ზმნები	სრულმნიშვნელოვანი ზმნები
a) Negation	<i>He isn't clever.</i>	<i>He cannot read.</i>	<i>*He wants not read.</i>
b) Inversion	<i>Is he clever?</i>	<i>Can he read?</i>	<i>*Wants he read?</i>
c) Code	<i>He is clever, and so is she.</i>	<i>He can read, and so can she.</i>	<i>*He wants to read, and so wants she.</i>
d) Emphasis	<i>She thinks he isn't clever, but he IS.</i>	<i>She thinks he can't read, but he CAN.</i>	<i>*She thinks he doesn't want to read, but he WANTS.</i>

ინგლისური მოდალური ზმნები გააჩნიათ დამახასიათებელი თავისებურებები, რაც მათ გამოარჩევს, როგორც დამხმარე, ასევე სრულ მნიშვნელოვანი ზმნებისაგან (Quirk 1985: 137; Huddleston and Pullum 2005: 39). ზოგადად, ასეთ შვიდ ნიშან-თვისებას გამოყოფენ, რომელიც მოხსენებულია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 2

„მოდალური ზმნების მახასიათებელი ნიშნები

მახასიათებლები	მოდალური ზმნები	სრულმნიშვნელოვანი ზმნები
1) თანამიმდევრული კატეგორიების არ ქონა	*He cans read	He tries to read
2) ფორმის არქონა	*to can, *canning	trying, tried
3) თანამედროვე ფორმების სიმცირე	He can/could/will can read; He *musted read	He tries/tried/will try/has tried to read
4) იმპერატივის არქონა	*Can read!	Try to read!
5) ურთიერთმეუთანხმებლობა (სალიტერატურო ენაში)	*He must can read	He wants to try to read.
6) მახვილის გარეშე ფორმებისა და რედუცირებული უარყოფითი ფორმების შესაძლებლობა	can [ken] can't [ka:nt, kaent]	try [traɪ] *tryn't
7) ინფინიტივის კომლემენტის შთავსება (to) ნაწილაკის გარეშე	*He can to read	He tries to read

ზემოთ მოყვანილ ყველა მოდალურ ზმნას არ ახასიათებს მორფო-სინტაქსური ნიშნები. ამიტომ გამოყოფილია ძირითადი მოდალური ზმნები, რომელთაც ახასიათებთ ნიშნების სრული ჩამონათვალი და ის პერიფერიული მოდალური

ზმნები, რომელთაც ესა თუ ის მახასიათებელი არ აქვს“ (Quirk 1985: 135; Palmer 1986: 33).

მათგან განსხვავებით არსებობს need და dare პერიფერიულ მოდალურ ზმნები რომელთაც არ აქვთ ძირითადი მოდალური ზმნების დამახასიათებელი შეზღუდვები და გააჩნიათ სრულმნიშვნელოვანი ზმნების ფორმები, როგორცაა: 1. გრამატიკული დრო; ქვემდებარისა და ზმნის შეთანხმება; 3. ინფინიტივის ფორმა to ნაწილაკით; 4. დამხმარე ზმნის საშუალებით კითხვითი და უარყობითი ფორმების წარმოება.

„ცხრილში 3 წარმოდგენილია მოდალური ზმნების need და dare-ის შედარება სრულმნიშვნელოვან ზმნებთან. კვლევა ცხადყოფს, რომ სრულმნიშვნელოვანი ვარიანტები უფრო ხშირად გამოიყენება და თანდათან აძევებენ მოდალურ ვარიანტებს. გარდა need და dare ზმნებისა, პერიფერიულ მოდალურ ზმნებს მიეკუთვნება ought to, რომელიც განსხვავდება მთავარი მოდალური ზმნებისაგან სწორედ to ნაწილაკის გამო“. (Collins 2009: 57)

ცხრილი 3

პერიფერიული მოდალური ზმნები need და dare და მათი სრულმნიშვნელოვანი

ზმნები

მოდალური need და dare	სრულვასოვანი need და dare
_____	<i>He needs/dares/needed/dared to go there.</i>
<i>He needn't/daren't go there.</i>	<i>He doesn't need/dare to go there.</i>
<i>Need/Dare he go there?</i>	<i>Does he need/dare to go there?</i>

„მორფო-სინტაქსური ნიშნების განსაზღვრა ინგლისური მოდალური ზმნებისათვის თავისებურია. სხვა ენებში კი მოდალურ ზმნებს მსგავსი მახასიათებლები არ აქვთ, თუმცა მაინც განსხვავდებიან მათი მორფო-სინტაქსური ნიშნები“ (Palmer 1986: 34-39).

მოდალური ზმნების სემანტიკის თავისებურება მდგომარეობს მოდალური დამოკიდებულების გადმოცემაში ან მდგომარეობაში, რომელიც გამოხატულია ინფინიტივის კომპონენტით. მოდალურ ზმნებს გააჩნიათ მდიდარი და მრავალფეროვანი მოდალური მნიშვნელობის გადმოცემის უნარი - მკაფიოდ გამოკვეთილი ვალდებულებით ან აუცილებლობით დაწყებული ვარაუდით დამთავრებული, რეალური შესაძლებლობით დაწყებული დაურწმუნებლობით და მერყეობით დამთავრებული.

მოდალობის შესწავლის ისტორიის მანძილზე არაერთხელ იყო მათი კლასიფიცირების შემთხვევები. ტრადიციული გახდა მოდალური ზმნების ორ ჯგუფად დაყოფა: პირველი, შესაძლებლობის აღმნიშვნელი ზმნები, რომელთაც მიაკუთვნებენ *can (could)* და *may (might)* ზმნებს და აუცილებლობის აღმნიშვნელი მოდალური ზმნები, რომელშიაც გაერთიანებულია ყველა დანარჩენი. მოდალობის ასპექტის მიხედვით (მარგინალური თუ ეპისტემური) შესაძლებლობის აღმნიშვნელია ზმნა, თუ აუცილებლობის მოსაუბრის პოზიციიდან გამომდინარე, შეიძლება ნიშნავდეს შინაარსის აქტუალიზაციას ან ამ შინაარსის სისწორეს:

John may come = It is possible for John to come/It is possible that John will come;

John must be there = It is necessary for John to be there/It is necessary that John is there.

შესაძლებელია, მოდალური ზმნების დაყოფა წინადადების სუბიექტური ორიენტაციის მიხედვით. ამ მხრივ მოდალური ზმნები შეიძლება იყოს სუბიექტ-ორიენტირებული და გადმოსცეს შინაგანი მოდალობა. შინაგანი მოდალობის აღმნიშვნელი მოდალური ზმნები (*can/could, will/would, need*) გვიჩვენებს, რომ შესაძლებლობის ან აუცილებლობის მოქმედების წყაროს, რომლის მოქმედებაც გადმოცემულია ინფინიტივით, არის წინადადების სუბიექტი. შინაგანი მოდალობის აღმნიშვნელი მოდალური ზმნები (*may/might, must, shall/should, ought to*) გვიჩვენებენ, რომ აუცილებლობის ან შესაძლებლობის წყაროს, რომელიც ასრულებს ინფინიტივით გადმოცემულ მოქმედებას, წარმოადგენს მოსაუბრე. მეორე კლასიფიკაცია საშუალებას გვაძლევს თვალი ვადევნოთ მოდალური ზმნის დამოკიდებულებას *not* ნაწილაკთან უარყოფით წინადადებებში. შინაგანი მოდალობის აღმნიშვნელ წინადადებაში მოდალურ ზმნებთან *not* ნაწილაკი მოდალობისაა მაგ: *John cannot* - გადმოგვცემს მოქმედების შესრულების შეუძლებლობას, ხოლო გარე მოდალობის აღმნიშვნელ წინადადებაში მოდალურ ზმნებთან უარყოფილია თვით შემოთავაზებამაგ: *John must not come*, გამოხატავს მოქმედების შეუსრულებლობის აუცილებლობას. თანამედროვე ნაშრომებში განასხვავებენ მარგინალურ და ეპისტემურ მოდალობას. ასეთი ანტითეზისი სულაც არ ნიშნავს, რომ ზოგი მოდალური ზმნამივაკუთვნოთ ძირითად ჯგუფს, ხოლო ზოგი ეპისტემურს. ამ შემთხვევაში საუბარი იმაზე, თუ როგორ გადმოსცემს მოდალური ზმნა ორ ტიპს, დეონტურს - (*John may come = John is permitted to come*) და ეპისტემურს (*John may come = Given what I –thespeaker - know, it is possible that John will come*).

ინგლისურ მოდალურ ზმნებთან ერთად, ბუნებრივია, განვიხილოთ სემან-ტიკურად მსგავს გამოთქმათა ჯგუფი, რომლებიც მორფოლოგიური ნიშნებით განსხვავდება. თანამედროვე კვლევებში მსგავს გამოთქმებს კვაზი-მოდალურ გამოთქმებს უწოდებენ. ამ ჯგუფში შემავალი გამოთქმების რაოდენობა შეიძლება იცვლებოდეს ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის კრიტერიუმით. მთავარ კრიტე-რიუმებს შორის სახელდება გრამტიკულობის მაღალი დონე, იდიომატურობა და მნიშვნელობის

სემანტიკური მსგავსება ძირითად მოდალურ ზმნებთან (Westney1995: 11, Collins2009: 18-20).

შემადგენელ ელემენტთა მახასიათებელზე დაყრდნობით, კვაზი-მოდალური გამოთქმები იყოფა ორ ჯგუფად: გამოთქმები, რომლებიც შეიცავენ დამხმარე ზმნებს პირველ ელემენტად და გამოთქმები, რომლებშიც დომინირებს ზმნა *be* როგორც ლექსიკური ელემენტი. პირველ ჯგუფში გაერთიანებულ გამოთქმებს კუირიკი და სხვა მეცნიერები უწოდებენ მოდალურ იდიომებს (*modal idioms*), რომელიც გულისხმობს *had better*, *would rather*, *be to*, *have got to* და ა.შ. მეორე ჯგუფს ავტორები ეძახიან ნახევარ მოდალებს (*semi-modals*) და აქვე აერთიანებენ *be (un)able to*, *be about to*, *be bound to*, *be going to*, *be obliged to*, *be supposed to*, *be (un)willing to*, *be apt to*, *be due to*, *be likely to*, *be meant to*, და აგრეთვე *have to* (Quirk 1985: 141-146). ფ. კოლინზი პირველ ჯგუფში მოაზრებულ გამოთქმებს უწოდებს ნახევარ მოდალებს (*semi-modals*), ხოლო მეორე ჯგუფში გაერთიანებულს - ლექსიკო-მოდალებს (*lexico-modals*), რომელშიაც ის აგრეთვე აერთიანებს ზმნებს *need to* და *want to* იმ საბაბით, რომ პირველ ჯგუფში გაერთიანებული გამოთქმები უფრო ახლოს დგანან მოდალურ ზმნებთან, ვიდრე მეორე ჯგუფისა. (Collins2009: 16).

როგორც მოდალურ ზმნებს, ისე პირველ ჯგუფში გაერთიანებულ ზმნებსაც არ გააჩნიათ უპირო ფორმები: *John will have got to/has been to go there*. მათი პირველი ელემენტი (და არა მთელი კონსტრუქცია) შეიცავს პირველად დამხმარე ზმნებს. *John hasn't got to go/*John has gotn't to go; Has John got to go?/*Has got John to go?*

*John has to go, and so has Jane/*so has got Jane; John hasn't got to go, but Jane HAS/*HAS GOT* (გამონაკლისია *would rather* და *had better*, რომელთაც გააჩნიათ ორი ტიპის უარყოფითი კონსტრუქცია: *John wouldn't rather/hadn't better go there - John would rather/had better not go there*). ამ ჯგუფის მოდალურ გამოთქმებს გააჩნიათ რედუცირებული ფორმები, რაც ადასტურებს გრამატიკალიზაციის მაღალ დონეს. *John'd better/rather go, John's got to go; და John gotta go*-ც კი. მოდალური ზმნებისაგან განსხვავებით, *be to* და *have got to* ეთანხმება ქვემდებარეს პირსა და რიცხვში და იმატებს ინფინიტივს *to* ნაწილაკით. *would rather* - აგრეთვე, შეიძლება, მოსდევდეს დამოკიდებული წინადადება (*I'd rather John went there*).

ძირითად განსხვავებას მეორე ჯგუფში არსებულ გამოთქმებსა და მოდალურ ზმნებს შორის წარმოადგენს უპირო ფორმების არსებობა, რაც საშუალებას აძლევს მათ, აწარმოონ სხვადასხვა დროის (ტემპორალური) ფორმები და ზმნური კონსტრუქციები (მათ შორის მოდალურ ზმნებთანაც), შეცვალოს მოდალური ზმნები იმ შემთხვევებშიც კი, როცა ამ უკანასკნელის გამოყენება შეუძლებელია (*John will be able to go there, John has been able to go there, John seems to be able to go there, John must be able to go there*). ეს განსაკუთრებულობა კვაზი-მოდალური გამოთქმებისა, საშუალებას აძლევს ზოგიერთ მკვლევარს, განიხილოს ისინი, როგორც

სუპერლექტური ფორმები მოდალური ზმნების არასრული მორფოლოგიური პარადიგმით.

სემანტიკური თვალსაზრისით კვაზი-მოდალური გამოთქმები ძალზე ახლოს დგანან მთავარი მოდალური ზმნების მნიშველობასთან (მაგ:be able to-ზმნა can-თან; had better, be supposed to- should - თან; have (got) to, be to-თან; be bound to - must თან; be going to-will თან) და, ამავდროულად, დამოუკიდებელი მნიშველობის შემცველი ელფერი სდევთ (მაგ: უპირატესობის would rather მნიშველობა და იძულების მნიშველობა have to).

ზოგიერთ შემთხვევაში ეს ელფერი წინასწარ განსაზღვრავს კონტექსტში მოდალური გამოთქმებისა თუ შესაბამისი მოდალური ზმნების გამოყენებას. მაგალითად, be able to წარსულ დროში ინფინიტივით გამოხატული მოქმედების აქტუალიზაციას გულიხმობს (ზმნების managed და succeeded-ის მსგავსად), რომელიც არ გადმოიცემა could ზმნით, რაც შესაძლებელს ხდის was able to-ს გამოყენებას და არა could-ისა იმ შემთხვევაში, თუ საუბარია ერთჯერად მოქმედებაზე წარსულში (Coates 1983: 127-129; Palmer 1990: 118; Facchinetti 2000: 118). რ. ლაკოფი (Lakoff 1972) წყვილების must-have to, should-be supposed to, may-be allowed to განხილვისას ასკვნის, რომ მათ შორის განსხვავება მოსაუბრის მოდალური დამოკიდებულების მცდელობით არის განპირობებული. წინადადებებში John must/ should/may go there აუცილებლობის, სურვილის ან ნებართვის მოქმედების შესრულება მოსაუბრის მიერ არის განსაზღვრული, მაშინ, როცა წინადადებაში შესაბამისი მოდალური გამოთქმებითა და ერთეულებით გამოთქმული აზრი სხვა წყაროდან მომდინარეობს (Lakoff 1972: 240). მარგინალური კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ მოსაუბრის მონაწილეობა ყოველთვის არ არის განმსაზღვრელი ფაქტორი ორ ვარიანტს შორის გაკეთებული არჩევანისა (Collins 2009: 15).

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ კვაზიმოდალურ გამოთქმას და მოდალურ ზმნას შეუძლია გადმოგვეცეს, როგორც ძირეული, ისე ეპისტემიური მოდალობა. გარდა ცნობილი შესაძლებლობებისა, have to და have got to დებულობს ორმხრივ ინტერპრეტაციას (John must go there/John's got to go there - John must be kidding/ John's got to be kidding), ფ. კოლინზი წარმოგვიდგენს გამოთქმების ორმხრივი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. be supposed to, be bound to და be going to (Collins 2009: 63-64; 70-71; 80- 87;144-147).

მოდალური ზმნები ინგლისურ ენაში და მათი ეკვივალენტები

ჩვენს ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მოდალობის ასპექტს და სემანტიკას და განვიხილავთ, თუ რა საშუალებებით ხდება ინგლისური მოდალური

ზმნების, გამოთქმებისა და ლექსიკური ერთეულების შესაბამისობა ქართულ ეკვივალენტებთან.

ამრიგად, ჩვენ დავახასიათებთ ინგლისური ენის მოდალური სისტემა გამოხატული მოდალური ზმნების, მოდალური გამოთქმებისა და ერთეულების სახით. აღვწერეთ მათი ეტიმოლოგიური, მორფოლოგიური და სემანტიკური თავისე-

ბურებანი, როგორც ცალკეულ ენობრივ ერთეულთა ჯგუფი. აგრეთვე განვიხილოთ, თუ როგორ ასრულებენ კვაზი-მოდალური ზმნები თავის ფუნქციებს.

§4 მოდალური ზმნები ინგლისურ ენაში და მათი ეკვივალენტები ქართულში

ლინგვისტურ ნაშრომებში ტერმინი „ურთიერთმიმართება“ ხშირად არის ნახსენები, თუმცა ამ ზუსტად შედგენილი თეორია ენათმეცნიერებაში ჯერ არ ჩამოყალიბებულა. არ არსებობს ზუსტად მოყვანილი განმარტება და კრიტერიუმი, რომელიც მოგვცემდა საშუალებას გვემსჯელა ლინგვისტური ელემენტების ურთიერთმიმართების მეტნაკლებობაზე, ხშირად ერთი და იგივე კონტექსტში ტერმინებთან „ურთიერთმიმართება“, „ურთიერთდამოკიდებულება“, „ურთიერთკავშირი“ და მათი განსხვავება კვლავ ჩამოუყალიბებელია. ა. ზელემნიკოვი აჯგუფებს ენობრივი კატეგორიების ურთიერთმოქმედების რამდენიმე ძირითად ხერხს:

1-ლი ფორმა, რომელიც ეკუთვნის იმ ფორმათა კომპლექსს, რომელიც ასახავს ერთ-ერთ ენობრივ კატეგორიას, მათ შეუძლიათ მნიშვნელობის გამოხატვა ისეთ პირობებში, რომლებიც ახასიათებენ სხვა ენობრივ კატეგორიას (მაგ: წარსული დროის ფორმები ბევრ ენაში გამოიყენება მნიშვნელობის გასასაზღვრად, რომლებიც წარმოადგენენ კილოს კატეგორიას).

2. კატეგორიები ურთიერთმოქმედებენ, თუ არსებობს ურთიერთთავსებადობის გარკვეული შეზღუდვები მათ შესაბამის მნიშვნელობასთან (მაგ: გვარის ფორმებს არ გააჩნიათ ზოგიერთი პროგრესული ფორმა).

3. თუ წინადადებაში არსებული წევრის ერთ-ერთი კატეგორია იწვევს იმავე სტრუქტურაში ერთი და იმავე წევრის გამოჩენას, რომელსაც აქვს სხვა კატეგორია.

4. კატეგორიების ურთიერთქმედება ასევე ჩნდება ენაში, როდესაც ერთსა და იმავე ფორმათა სისტემაში თავსდება რამდენიმე წევრი, თავის მხრივ, ისინი მიეკუთვნებიან სხვადასხვა კატეგორიას (არსებობს ენები, რომლის ფლექსიურ სისტემაში არსებობენ არა მარტო წარსული და აწმყო ფორმები, აგრეთვე იმპერატივი და ირეალისი) (ა. ზელემნიკოვი).

უდავოა ფაქტი, რომ ერთი ენიდან მეორეზე თარგმანის მნიშვნელოვანიამოცანაა ამ ენებს შორის იდენტობის დადგენაში მდგომარეობს. ეს ნიშნავს ურთიერთშესაბამისობის დადგენას როგორც სათარგმნ (ორიგინალის) და თარგმანის ენათა გრამატიკულ სტრუქტურებში, ისე ფორმოზრივ-აზროზრივი შესაბამისობის მიღწევას ნაწარმოების მიზანდასახულობისა და მხატვრული თავისებურებების შენარგუნებით. მხოლოდ ასეთი სრული ეკვივალენტობა ქმნის ერთადერთ საიმედო საყრდენს განსხვავებული ენების შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე თარგმანის განხორციელებისათვის.

ეკვივალენტობის საკითხი, თუ ამასთანავე გავითვალისწინებთ სათარგმნი მასალის ჟანრულ, სტილისტიკურ და სხვა თავისებურებებს, საკმაოდ რთულია და ერთმნიშვნელოვნად ვერ გადაწყდება. ეკვივალენტობას ნებისმიერ დონეზე საფუძვლად უდევს სათარგმნ და თარგმანის ენებს შორის ძირითადი გრამატიკული მახასიათებლების მსგავსებათა და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, განსხვავებათა გამოვლენა.

ქართულის შედარება განსხვავებული სტრუქტურის ენებთან (რომ არაფერი ვთქვათ სიტყვათა სემანტიკაზე, რომელიც ნებისმიერი თარგმანის შემთხვევაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა) ენის სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა სირთულით წარმოგვიდგება. ინგლისურ-ქართულ თარგმანთან მიმართებით შეიძლება ითქვას, რომ თარგმნის დროს სახელებთან განსაკუთრებული პრობლემები არ იქმნება. ამ სფეროში წარმოქმნილი ძირითადი სიმნელები (განსხვავებული ბრუნების სისტემითა და არტიკლით გამოწვეული) ადვილად გადასაჭრელია. პირიქით, ზმნისა და მასთან დაკავშირებული სტრუქტურების აზროზრივ და გრამატიკულ შესაბამისობაში მოყვანა დიდ სირთულეებს აწყდება. ეს ეხება მოდალობის კატეგორიის გადმოცემასაც, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება მხატვრული თარგმანის შემთხვევაში. შეიძლება ითქვას, რომ ის სტილისტიკური თუ გრამატიკული ხარვეზები, რომლებიც ხშირად იჩენს თავს ინგლისურ-ქართულ ან

ქართულ-ინგლისურ თარგმანებში მოდალობასთან დაკავშირებით, მეტწილად ქართული ზმნის თაივსებურებათა გაუთვალისწინებლობის შედეგია.

ქართულ ენაში მოდალობის გამომხატველი კოლოს კატეგორიაა, რომელიც ხშირად გარკვეულ პრობლემებს ქმნის. ეს განსაკუთრებით ეხება ირიბ კილოებს. ძველ ქართულთან შედარებით თანამედროვე ქართულში ირიბ ირეალურ კილოთა რაოდენობა შემცირებულია და შესაბამისად ფართოვდება თხრობითი კილოს ფორმებით არათხრობითი შინაარსით გამოყენების სფერო (მ. მამისთვალაშვილი; შ. მიძიგური, პაპიძე 1998 წ.).

ინგლისურ და ამერიკულ ლიტერატურასა და აგრეთვე ინტერნეტ სივრცეში არსებული პოლიტიკური ბლოგების შესწავლისას, მათი თარგმანების კვლევისას გამოვავლინეთ, რომ მათი გადმოქართულება, უმეტეს შემთხვევაში, მოდალური საშუალებებით ხდება, მაგრამ ინგლისურში გამოყენებული ზმნა ქართულში ყოველთვის მისი ეკვივალენტი ზმნა არ არის, ხშირ შემთხვევაში იგი ან ზმნური წარმოშობის სიტყვაა, ან სხვა მეტყველების ნაწილი.

ქართული თარგმანის თანამედროვე თეორიების პოზიციებიდან განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია იმ მთარგმნელობითი ტრადიციების გათვალისწინებაც, რომელიც შეიქმნა ძველ ქართულ მწერლობაში და მნიშვნელოვნად ეხმიანება თანამედროვე თეორიათა მოთხოვნებს.

მოდლობის კატეგორიის ქართულთან ურთიერთმიმართების კვლევისას შევეცდებით, დავადგინოთ ინგლისური მოდალური ერთეულების ქართული შესატყვისები, რომელიც თანამედროვე ელექტრონული თარგმანისათვის იქნება მისაღები და ღირებული.

ცხრილი

Will	I სერია მყოფადი
can can't/cannot	შეუძლია, არ შეუძლია.
Could	შეეძლო შეუძლებელი , ვეღარ, არ
be able to	უნარი
may/might	შეიძლება, ძალუმს, იქნებ
Ought, should, must, have to, have got to / To be to	უნდა, იყო იძულებული
had better/ had better not / would	უმჯობესია, უკეთესი იქნება, სჯობს,

rather	მირჩევნია, აჯობებს...
Need/ Need not	საჭირო /არაა საჭირო /აუცილებელი
Might/could/ would /should + have + past participle II	მეორე თურმეობითი
Used to	ზმნის წარსული ფორმით, აწმყო უწყვეტელით გადმოიცემა.
Dare	გაბედვა

ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ მოდალური შინაარსის გადმოცემა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული წინადადების სინტაქსურ კონსტრუქციაზე. თანამედროვე ქართულში ამ ფუნქციით გამოიყენება ე.წ. ინფინიტიური კონსტრუქცია, რომელიც შედგება მოდალური შინაარსის ზმნებისა ან მოდალური ნაწილაკებისაგან, სახელზმნისა ან კავშირებითის ფორმებისაგან. ძირითადი სემანტიკური დატვირთვა მოდის კავშირებითის ფორმაზე, მოდალური ზმნები ან ნაწილაკები კი მოდალურ ელფერს სძენენ კონსტრუქციას (პაპიძე 1987).

§5 გრამატიკულ-სემანტიკური შესატყვისები ქართულში.

თანამედროვე ინგლისურში მოდალობის გამოხატვის ფართო სემანტიკურ სპექტრში გამოიყოფა მოქმედების შესაძლებლობის გამომხატველი მოდალური ზმნები can (ნამყო დროის ფორმა could) და may (ნამყო დროის ფორმა might).

ინგლისური მოდალური ზმნა can და მისი გრამატიკულსემანტიკური შესატყვისები ქართულში

Can მოდალური ზმნა გვხვდება კონსტრუქციებში: can + simple infinitive და can + perfect infinitive.

Simple infinitive-ის ფორმით can მოდალური ზმნის საშუალებით ძირითადად გამოხატულია: მენტალური ან ფიზიკური შესაძლებლობა, უნარი. ამ მნიშვნელობით can-ის პარაფრაზად შეიძლება მოგვევლინოს: to be able to, to be capable to, know how to; ალბათობა, შესაძლებლობა, რომელიც დამოკიდებულია ობიექტურ მომენტზე; ნების დართვა (ზოგჯერ ირონიული ელფერით).

ეს მნიშვნელობები განსხვავებულ კონტექსტში მრავალ სემანტიკურ ნიუანსს იძენს, როგორცაა: თხოვნა/ნების დართვა (ამ მნიშვნელობით can ძირითადად გვევლინება სასაუბრო მეტყველებაში); აკრძალვა; თავაზიანი თხოვნა; საყვედური; ეჭვი/დაურწმუნებლობა/ვარაუდი და ა. შ. (მამაცაშვილი და სხვ.: 126-128).

გრამატიკული კონსტრუქციებისა და მათთან დაკავშირებული მოდალური ნიუანსების გამოხატვა ქართულში ძირითადად ეკისრება კავშირებით კილოს, მოდალურ ზმნებს, მოდალურ სიტყვებსა და ნაწილაკებს.

can+simple infinitive-ს ფორმების შინაარსს ახლანდელ დროში ქართულში შეესაბამება ძირითადად «შეძლება» ზმნის შემცველი კონსტრუქცია ან არამოდალური აწმყოს ან უწყვ. ფორმები:

“I’d like you all to know him-he’s a splendid fellow, knocked about all over the world and can tell you some good yarns”.

ქართულში აწმყოს ფორმა შეიძლება გამოყენებული იყოს არამოდალური ფორმებითაც:

“I can hear you sighing through the telephone. Is anything the matter?”

«ტელეფონში მესმის, რომ ოხრავ. რამე ხომ არ მომხდარა?»

ამ (და სხვა ანალოგიურ) შემთხვევაში სავსებით ბუნებრივი ჩანს თხრობითი ფორმის გამოყენება, რამდენადაც ობიექტური წყობის ზმნა «მესმის» თავისი სემანტიკით გულისხმობს, რომ მოლაპარაკეს (სუბიექტური ან ობიექტური ფაქტორების პირობებში) შეუძლია მოსმენა, მშობავალი დროის ფორმათა გადმოსაცემად ქართულში გამოყენებულია «შეძლება»+II კავშირებითის შემცველი კონსტრუქცია ან მყოფადის ფორმები:

“I’ve a good friend there, I can borrow from - he had declared”.

“მე იქ ერთი კარგი მეგობარი მყავს, ვისგანაც შემიძლია ფული ვისესხო _ განაცხადა თურმე რუფეთმა”.

Can+simple infinitive-ის კონსტრუქცია ინგლისურში გამოყენებულია წარსულის მნიშვნელობითაც. ასეთ შემთხვევებში სათანადო შინაარსის გამოსახატავად ქართულში შეიძლება შეგვხვდეს ნამყო წყვეტილის ფორმები:

“Now I can see, why, if you’re so horrib about him”.

«ახლა კი მივხვდი, რატომ არ მოდის, შენს არაკეთილგანწყობას გრძნობს”

ამ (და სხვა მსგავს) შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ქართულში ფორმალურად მოდალობა არ არის გამოხატული, შინაარსი რამდენადმე მაინც ინარჩუნებს მოდალობას. ეს შესაძლებელი ხდება იმის გამო, რომ "I can see"-ს ნაცვლად

ქართულში გამოყენებული ზმნა «მივხვდი» არ არის თავისუფალი «ვარაუდის», «დაშვების» სემანტიკისაგან.

Can + perfect infinitive-ის ფორმებს ქართულში ძირითადად შეესაბამება ინფინიტიური კონსტრუქცია _ შეძლება + II თურმეობითი:

“I’m beginning to believe that is what happened – that, It’s only thing that can have happened”.

«თანდათან ვრწმუნდები, რომ ასეც იყო. სხვა არაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო».

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ინფინიტიურ კონსტრუქციაში II თურმეობითის გამოყენება სავსებით ბუნებრივია, რამდენადაც ამ მწკრივმა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში კავშირებითის შინაარსი შეიძინა.

Can მოდალური ზმნის წარსული დროის ფორმად გვევლინება **could**, მაგრამ იგი ხშირად გამოიყენება სხვა დროებშიც რამდენადაც განსხვავებული მნიშვნელობებით. გრამატიკულად could – ის შემცველი კონსტრუქციები გამოხატულია could + simple infinitive და could + perfect infinitive-ის ფორმებით.

ნამყო წყვეტილი. თხრობითი კილოს ეს ფორმა გადმოსემს განსხვავებულ მნიშვნელობებს. Could + simple infinitive-ის შესატყვისად იგი, ჩვეულებრივ, გვხვდება უარყოფით კონსტრუქციებში, რომლებშიც გამოყენებულია უარყოფითი ნაწილაკები. რამდენადაც ეს უკანასკნელები მოქმედების შეძლების გამოხატვასთანაა დაკავშირებული, ისინი თვითონ ითავსებენ could-ის მოდალურ მნიშვნელობას და ამიტომ ძირითადი ზმნისთვის კავშირებითი ფორმის საჭიროება იხსნება. ამავე მნიშვნელობით არის გამოყენებული უარყოფითი ნაცვალსახელებიც:

“Nothing more of value could be extracted from Mr. Marales and he admitted frankly that his alcoholic condition was already well advanced by the time the cabarety was on”.

«ამაზე უფრო ფასეული მისტერ მორალესისგან ვერაფერი შეიტყვეს. მან გულახდილად აღიარა, რომ იმ დროისათვის, როცა ვარიეტეს წარმოდგენა დაიწყო, უკვე საკმაოდ შეზარხოშებული იყო».

ნამყო უწყვეტელი. ამ თხრობითი მოდალობის მწკრივის გამოყენება could + simple infinitive-ის შინაარსის შესაბამისად ქართულში თვით უწყვეტელის სემანტიკასთან ჩანს დაკავშირებული. ნამყო უწყვეტელი გამოხატავს წარსულში მიმდინარე გაგრძელებულ, უწყვეტ და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ჩვეულ მოქმედებას, რითაც ხშირად შესაფერისი სიტუაციების გამოხატვისას მოდალობის აღნიშვნის საჭიროება იხსნება:

“Every difficulty could always be smoothen out by Miss Lessing capable fingers. «მისის ლესინგის გამოცდილი ხელები ყოველგვარ სირთულეს ადვილად სძლევდნენ”.

ნამყო უწყვეტის, როგორც უსრულასპექტიანი ფორმის, გამოყენება უფრო ხშირად განპირობებულია წარსულში მოქმედებათა თანადროულობის აღნიშვნის საჭიროებით (როგორც წართქმითი, ისე უკუთქმითი ფორმით):

“Anthony said: “Than’s why I asked you first if you could trust me. You’d have to my reasons on trust”.

«ამიტომ გკითხე თავიდან, გჯეროდა თუ არა ჩემი, – მიუგო ენტონიმ. შენ უნდა მენდო.»

ხოლმეობითი. Could + simple infinitive–ის შესატყვისად ქართულში ხოლმეობითის მწკრივის გამოყენება მოხერხებული ჩანს ინგლისურ წინადადებათა პირობითი შინაარსის გადმოსაცემად. რამდენადაც ხოლმეობითი არათხრობით კილოდ ყალიბდება, იგი პირობითის შინაარსსაც ითავსებს (შანიძე: 209; პაპიძე: 164.):

“I wonder to see if I could frighten the doctor. But it would take more than supernatural to frighten him“.

« მინდოდა მენახა, თუ შევძლებდი ექიმის შეშინებას ».

აწმყო. Could აწმყოში გადმოსცემს: თავაზიან თხოვნას, ვარაუდს, ეჭვს, დაურწმუნებლობას, შესაძლებლობას, უკმაყოფილებას, გაკვირვებას, აუცილებლობას:

“It could be true. But even if it is, it’s not the real reason».

« შეიძლება მართალიცაა, მაგრამ ასეც რომ იყოს, მთავარი მიზეზი ეს არ არის.»

მყოფადი. Could მომავლის მნიშვნელობით ქართულში მყოფადი მწკრივით გადმოიცემა. ასეთ შემთხვევებში არ გვაქვს «შეძლება» მოდალური ზმნა ან ნაწილაკი, რაც განსხვავებულ სემანტიკურ ნიუანსებს ანიჭებს მოდალურ კონსტრუქციას. ეს არის დარწმუნებულობა, შეუძლებლობა, ვარაუდი, გაფთრხილება, ალბათობა:

“Now from all accounts of the dear lady, I could hardly see, Lucilla Drake as First Murderess”.

« მაგრამ, ავწონ-დავწონე რა ყველა შესაძლებლობა, მე ვერ ჩავთვლი ლუცილა დრეიკს ნომერ პირველ მკვლელად.»

To be able to. Can მოდალურ ზმნას აქვს მხოლოდ ორი ფორმა – აწმყო ”can” და წარსული “could”. ეს სიცარიელე ივსება ეკვივალენტური ფორმით to be able to, რომელიც იხმარება როგორც აწმყოსა და წარსულში, ისე მომავალში. To be able to – აწმყოში გაცილებით ფორმალურია, ვიდრე “can”. ამღნიშნული ფორმა ქართულში გადმოიცემა შეძლება+IIკავშირებითის კონსტრუქციით და გამოიყენება მომავლის აღსანიშნავად. გამოხატავს ვარაუდს, შესაძლებლობას, სურვილს, ნებას, შეთავაზებას:

" They will probably be able to find out fairly easily who wrote and if the writer knows anything".

«შესაძლოა მათ ადვილად დაადგინონ, ვინ დაწერა ისინი ან რა არის ცნობილი მათი ავტორისათვის».

ინგლისური მოდალური ზმნა *may* და მისი გრამატიკულ-სემანტიკური შესატყვისები ქართულში

May მოდალური ზმნის საშუალებით გამოხატულია: მოქმედების შესაძლებლობა, დამოკიდებული ობიექტურ ფაქტორებზე, შანსი, ნების დართვა, ფაქტის შესაძლებლობა, აკრძალვა. ამ უკანასკნელი მნიშვნელობით „*may*» იშვიათია, უფრო ხშირად გამოიყენება *can't, don't, mustn't*.

შეინიშვნება *may*-ს ჩანაცვლება *might* მორდალური ზმნითაც. თანამედროვე ინგლისურში *may* შედარებით იშვიათად ხმარებული სიტყვაა (ლუისი: 113). *May+simple infinitive*-ის შესატყვისად ქართულში ჩვეულებრივია II კავშირებითის ფორმები, რომელთაც ერთვის შესაძლებლობის, დაეჭვების, ვარაუდის და მისთ. გამომხატველი: «იქნებ», «შეიძლება», «უნდა». მოდალური ნაწილაკები:

«*You may think me a foolish, credulous woman, but Monsieur Poirot, I am afraid*».

«*იქნებ ბრიყვ და გულუბრყვილოდ ჩამთვალოთ, მაგრამ მუსიე პუარო, მე მაინც მეშინია*».

may+perfect infinitive-ის შინაარსის გადმოსაცემად ქართულში გვაქვს წყვეტილის მწკრივის ფორმა + «შეძლება». სემანტიკური მნიშვნელობა – ვარაუდი/შესაძლებლობა/ალბათობა:

«*She may have cried out'or gasped-but nobody heard anything*».

«*შეიძლება მან შეჰყვირა კიდეც, მაგრამ არავის არაფერი გაუგონია*».

ამავე მნიშვნელობით ქართულში აწმყოს კავშირებითი გვაქვს:

«*Well, yes. At heart I did. Of course I may have been wrong*».

«*ყოველ შემთხვევაში, მეგონა რომ ვხვდებოდი. ცხადია, შეიძლება ვცდებოდე კიდეც*».

თხოვნის/ნების ალების მნიშვნელობით კითხვით ფორმებში "*may*"-ს შესატყვისად ქართულში ჩვეულებრივია «ნების ალება»+II კავშირებითის ფორმები:

«*May I just mention how appresiative we are. Mr. Barton, that you are-er-coming back to us?*».

«*ნება მიბოძეთ, მადლობა მოგახსენოთ მისტერ ბარტონ, იმის გამო, რომ... ჰმ... კვლავ პატივი დაგვდეთ*».

May მოდალურ ზმნას კითხვით ფორმებში ზოგჯერ შეესატყვისება «შეძლება»+II კავშირებითის ფორმა:

«*May I ask you who you are?*»

«შემიძლია გკითხოთ ვინ ბრძანდებით?»

«May» თანამედროვე ინგლისურში გვხვდება perfect infinitive-ს ფორმითაც, მნიშვნელობა _ ვარაუდი, ეჭვი. ქართულში ამ მნიშვნელობით გვხვდება II თურმეობითისა და უწყვეტლის მწკრივის ფორმები:

"He may have let out something to her. You know, colonel, none better. what a petty woman can get out of a man".

«არა, მაგრამ ბრაუნი საკმაოდ ახლო ურთიერთობაში იყო მის ცოლთან და ამასგან ხეირსაც ელოდა».

ამავე შინაარსის გადმოსაცემად ქართულში გამოყენებულია თხრობითი კილოს ფორმებიც. ამ შემთხვევაში მოდალობის შინაარსს მხოლოდ მოდალური ნაწილაკები გადმოსცემენ. მაგ., II თურმეობითის ფორმების «შეეძლო დაეჭვებულიყო» და «შესაძლებელია გადაეწყვიტა» პარალელურად იმავე წინადადების სხვა თარგმანში მოდალურ ნაწილაკებთან გამოყენებულია ნ/უწყვეტლის ფორმები («შესაძლოა ეჭვობდა» და «იქნებ ფიქრობდა»).

«May» მოდალური ზმნის წარსული დროის ფორმა «might» გვხვდება როგორც simple infinitive-ის, ისე perfect infinitive-ის ფორმებთან.

Might თანამედროვე ინგლისურში ხშირად იხმარება აწმყოს მნიშვნელობითაც და ნელ-ნელა დამოუკიდებელი ზმნის სტატუსს იღებს.

«May-might» დროის განსხვავებას იძლევა უპირატესად მაშინ, როდესაც აღნიშნავს შესაძლებლობას, ნების დართვას არაპირდაპირ მეტყველებაში:

«He asked me if I might lend him my book». «მან მკითხა, თუ შემიძლოა წიგნი მეტხოვებინა მისთვის».

სხვა შემთხვევებში «might» გამოხატავს: აწმყო ან მომავალ შესაძლებლობას ეჭვივ დიდი ელემენტით; ვარაუდს; საყვედურს; დიდ ტაქტს თავაზიანი თხოვნის დროს; ნების დართვას:

Might+simple infinitive მომავლის მნიშვნელობით ქართულში გამოიხატება II კავშირებითის ფორმითაც.

"Miss Marlo, might I have a word with you before I go? On a strictly business matter?".

«მის მარლო, სანამ დაგემშვიდობებოდეთ შემიძლია თუ არა რამდენიმე სიტყვით გაგესაუბროთ საიდუმლო საქმეზე?»

თავი II

ტექსტისჯანრობრივიტიპოლოგიადადრამატურგიულიტექსტისთარგმანისპრინციპები

§ 1. ინგლისური ტექსტის თარგმანის შეფასებისა და გადმოცემის ძირითადი პრინციპები

თარგმანი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სოციოკულტურული ფენომენი. მას, როგორც სოციალური აქტივობის სფეროს, მნიშვნელოვანი სოციალურადმშენებლობითი როლი აკისრია და დიდი ხანია იპყრობს მრავალი ისეთი მეცნიერული დისციპლინის ყურადღებას, როგორცაა ფსიქოლოგია, ეთნოგრაფია, სოციოლოგია, ფილოსოფია, ლიტერატურათმცოდნეობა, ლინგვისტიკა, თუმცა, მიუხედავადამისა, დღემდე არსებობს ეჭვები იმის შესახებ, თუ რამდენად მართლზომიერია ისეთი მეცნიერული დისციპლინის შექმნა, როგორცაა თარგმანის თეორია. მაგალითად. რეფორმატსკიმ კატეგორიულად უარყო თარგმანის თეორიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის, არსებობის საჭიროება, რასაც შემდეგნაირად ასაბუთებდა: „იმ ფაქტიდან, რომ თარგმანის შესწავლის პრაქტიკა იყენებს ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგთა მონაცემებს, არ გამომდინარეობს ცალკე თეორიის აუცილებლობა, თუმცა დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილება საჭიროებს განზოგადებას და თეორიულ გააზრებას და ამ მხრივ უკვე შესრულებულია უდიდესი სამუშაო” [Реформатский, 1987: 262].

თარგმნა შემოქმედებითი პროცესია. როგორც ენათშორისი და, მაშასადამე, კულტურათშორისი საკომუნიკაციო აქტი, იგი მრავალპლანიანი მოვლენაა და მისი შესწავლაც მხოლდ სხვადასხვა მეცნიერებათა მეთოდებით არის შესაძლებელი. ამიტომ თარგმანის თეორია, როგორც მეცნიერება (ნებისმიერი სხვა მეცნიერების მსგავსად), «ცდისა და შეცდომების» გზით იმკვიდრებდა ადგილს. თარგმანის თეორეტიკოსებს შორის დიდხანს არ იყო ერთიანი თვალსაზრისი იმის შესახებ, თუ რომელ მეცნიერებას – ლინგვისტიკას თუ ლიტერატურათმცოდნეობას (და კიდევ სხვას) – უნდა დამყარებოდა თარგმანის ზოგადი თეორია. იყო მერყეობა ხან ერთი, ან მეორე მიმართულებით. ბოლო დროის (როგორც უცხოურ, ისე ქართულ) თეორიულ გამოკვლევებში ცალსახად გამოიკვეთა თვალსაზრისი, რომ მხოლოდ კომპლექსური მიდგომა უზრუნველყოფს მყარ საფუძველს ადეკვატური თარგმანისათვის (საკითხის შესახებ იხ. გაჩეჩილაძე, 1958; ნათაძე, 1986; საყვარელიძე, 2001; ფანჯიკიძე, 1995; Бархударов, 1975; Швейцер, 1985...)

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე შეიქმნა მრავალი თეორიული ნაშრომი, თუმცა მეცნიერები ვერ შეთანხმდნენ ისეთ ტრადიციულ და აშკარად ფუნდამენტურ პრობლემებზეც კი, როგორცაა თარგმანის თეორიის სტატუსი და ადგილი სამეცნიერო დისციპლინებს შორის, მისი მეთოდოლოგიური საფუძვლებისა და სტრატეგიების საკითხები, თარგმანის შეფასების კრიტერიუმები და სხვა. თარგმანის ისტორიის, თეორიის, კრიტიკისა და პრაქტიკის პრობლემების ამსახველ ლიტერატურაში გვხვდება საკვლევი კონცეფტთან დაკავშირებული მრავალი ინტერპრეტაცია.

ო.ახმანოვას განმარტებით: „თარგმანი არის ინფორმაციის გადმოცემა სხვა ენის საშუალებებით, სხვა ენაში იმგვარი გამომსახველობითი საშუალებების მოძიება, რომლებიც უზრუნველყოფდნენ არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემას, არამედ დედნის და ახალი ტექსტის, აგრეთვე მისი ფორმის (როგორც შინაგანს, ასევე გარეგანს) უფრო სრულ შესაბამისობას“ [Ахманова, 1966: 316]. ლ. ბარხუდაროვი თარგმანს განიხილავს, „როგორც ერთ ენაზე შექმნილი ტექსტის ენათშორის გარდაქმნასა და ტრანსფორმაციას მეორე ენაზე შინაარსის ანუ მნიშვნელობის უცვლელი შენარჩუნებით“ [Бархударов, 1975: 41]. გალპერინის აზრით თარგმანი არის აზრობრივი შინაარსის და სტილისტური თავისებურებების გადაცემა ერთ ენაზე მეორე ენის ენობრივი საშუალებებით [Галперин, 1958: 64]. რ. იაკობსონი თარგმანს განიხილავს, როგორც ვერბალური ნიშნების და ინფორმაციის ინტერპრეტაციას [Jakobson, 1959:16]. ნელიუბინის მიხედვით თარგმანი არის „ენათშორისი და კულტურათშორისი კომუნიკაციების ცალმხრივ მიმართული და ორფაზიანი პროცესი, რომლის დროსაც პირველადი ტექსტის მთრგმნელობითი ანალიზის საფუძველზე იქმნება მეორადი ტექსტი (მეტატექსტი), რომელიც ცვლის პირველად ტექსტს სხვა ენობრივ და კულტურულ გარემოში“ [Нелюбин, 2003: 140]. ჟორჟ მუნენის აზრით, თარგმანი „ენათაკონტაქტის, ბილინგვიზმის ფაქტია“ [Mounin, 1967: 7]. „...თარგმანი ხელოვნებაა, რომელიც მეცნიერებას ეფუძნება“ [Mounin, 1967: 67].

ვ. კომისაროვი თარგმანს ენობრივი შუამავლობის სახეობად თვლის, რომლის დროსაც უცხოენოვანი ორიგინალი ტექსტის შინაარსი გადმოიცემა სხვა ენაზე, ამ ენაზე კომუნიკაციურ – ტოლფასოვანი ტექსტის შექმნის გზით [Комиссаров, 1997: 43].

ზემოთ მოყვანილი ციტატებიდან ნათლად ჩანს მოცემული განსაზღვრებების ევოლუცია. თუ თავში თარგმანი განიხილებოდა, როგორც ინფორმაციის გადაცემის საშუალება, უკანასკნელ განმარტებებში ის უკვე ენათმორისი შუამავლობის სახეობაა, ასევე გათვალისწინებულია მისი კომუნიკაციური მიმართულება.

ყოველი თარგმანი არის ორიგინალის მსგავსი და ყოველი ორიგინალი ასრულებს ერთგვარ „ტექსტ - დონორის“ როლს, რომლის მეშვეობითაც წარმოიქმნება ახალი ტექსტი სხვა ენობრივ სივრცეში ... ორიგინალი არ შეიძლება მთელი სისრულით გადატანილ იქნას სხვა ენაზე, სრულად იდენტური იგი შეიძლება მხოლოდ საკუთარ თავთან დარჩეს. თარგმანი არის ენათმორისი კომუნიკაციის აქტი. თარგმანის ეფექტურობა დიდწილად განისაზღვრება ორიგინალ თანთარგმანის სიახლოვის ხარისხით, თუმცა ენობრივი და კულტურული განსხვავებები განაპირობებენ ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების არაიდენტურობას [Комиссаров, 1990: 118].

იმ მეცნიერთა შორის ვინც უდიდესი წვლილი შეიტანა თარგმანის მეცნიერებაში შეიძლება დავასახელოთ ვინტერი „Impossibilities of translation“ [Winter, 1964], ინგლისელი მეცნიერი ჯ. ფერსი სტატიით „Linguistic analysis and translation“ („ლინგვისტური ანალიზი და თარგმანი“) [Firth, 1956], ინგლისელი ლინგვისტი მაიქლჰოლიდი „Comparison and Translation“ („შედარებადათარგმანი“) [Halliday, 1964], ყველაზე სრულყოფილად ინგლისური მთარგმნელობითი კონცეფციები ჩამოაყალიბა ჯ. ქეთფორდმა თავის ნაშრომში Linguistic theory of translation („თარგმნისლინგვისტური თეორია“) [Catford, 1965]; თარგმანის მეცნიერებაში დიდი წვლილი შეიტანა ა.ფიოდოროვის წიგნმა „Введение в теорию перевода“, რომელშიც განსაზღვრულია ენათმორისი კომუნიკაციების პრობლემების ენათმეცნიერული მიდგომის მნიშვნელობა [Федоров, 1983]. ამ მიმართულებით ვითარდებოდა ქართული მეცნიერული აზრიც. მხედველობაში გვაქვს კ. კეკელიძის, ალ. ბარამიძის, დ. კობიძის, გ. იმედაშვილის, გ.წიბახაშვილისდასხვ. ნაშრომები, რასაც შემდეგ შეემატა გ.გაჩეჩილაძის პირველი თეორიული ხასიათის მონოგრაფიული ნაშრომი „მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი“ [გაჩეჩილაძე, 1970].

თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთერთი ძირითადი პრობლემა არის თარგმნადობის/უთარგმნელობის პრობლემა, რომელსაც სხვადასხვა დრო და სხვადასხვა მთარგმნელობითი ტრადიციების გათვალისწინებით მრავალი კვლევა მიეძღვნა, თუმცა ცალსახად ერთმნიშვნელოვანი პასუხი კითხვებზე ჯერაც არ არის გაცემული. უთარგმნელობის თეორიის თანახმად ერთი ენიდან მეორეზე სრულფასოვანი თარგმანის შესრულება შეუძლებელია სხვადასხვა ენების გამომსახველობითი საშუალებების განსხვავებულობის გამო. ცნობილი ლინგვისტი ვილჰელმ ფონჰუმბოლტი უთარგმნელობის იდეას ენების წყობის

განსხვავებულობით ხსნიდა და ამტკიცებდა, რომ „სხვადასხვა ენები სულაც არ არის ერთი და იგივე საგნის სხვადასხვა მნიშვნელობა, არამედ მისი განსხვავებული ხედვა; თუ ეს საგანი არ წარმოადგენს გარესამყაროს ობიექტს, თითოეული მთქმელი თავისებურად ქმნის მას, პოულობს რამასში ზუსტად იმდენს თავისას, რამდენიც საჭიროა იმისთვის, რომ დაიჭიროს და მიიღოს სხვისი აზრი” [Гумнольдт, 1984: 40].

ათწლეულების შემდეგ სხვა ნაშრომებში ჰუმბოლტი გამოთქვამს საწინააღმდეგო აზრს ახლა უკვე თარგმანის შესაძლებლობის შესახებ. იგიაცხადებს, რომ „სრულიად განსხვავებული ენებიდან თარგმნის გამოცდილება და აგრეთვე ყველაზე საიდუმლო რელიგიური გამოცხადებებისთვის ყველაზე პრიმიტიული და განუვითრებელი ენების გამოყენებაც კი გვიჩვენებს, რომყოველი იდეა, თუნდაც წარმატების სხვადასხვა ხარისხით, შეიძლება გადმოცემულ იქნას ნებისმიერ ენაზე” [Гумнольдт, 1984: 315].

აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ტრადუქტოლოგიის ერთ-ერთ საკვანძო კატეგორიასთან – ეკვივალენტურობის ცნებასთან დაკავშირებით. ჯ. ქეთფორდის აზრით, ეკვივალენტურობა ნიშნავს მოცემულ სიტუაციაში ტექსტუალურ თავსებადობას, ის გამოყოფდა ორი სახის ეკვივალენტობას: ფორმალურს და ტექსტუალურს [Catford, 1965: 20].

ქეთფორდის ფორმალურ-ტექსტუალურ ეკვივალენტურობას დაუპირისპირდა იუჯინ ნაიდას დინამიკური ეკვივალენტობა – ორიგინალისა და თარგმანის რეცეფტორების რეაქციათა თანხვედრა. მისი თეორიის ამოსავალი წერტილია ფორმალური დადინამიკური ეკვივალენტობის გამიჯვნა. პირველი ორიენტირებულია ორიგინალზე და გულისხმობს მეტყველების სტილის, ორიგინალის ტექსტის სემანტიკის, მისი სინტაქსური წყობისა და პუნქტუაციის აუცილებელ შენარჩუნებას. კონკორდანსის პრინციპი, მისი აზრით, უნდა არეგულირებდეს ერთიდა იმავე სიტყვის მუდმივად ერთი და იმავე სიტყვით გადმოცემას. ნაიდას აზრით, ფორმალური ეკვივალენტობა არ ვარაუდობს თარგმანის პროცესში არავითარ ტრანსფორმაციას, რაც, პრაქტიკულად, განუხორციელებელია, ვინაიდან ასეთი ეკვივალენტობის შემთხვევაში თარგმანი არ შეიძლება იყოს ბუნებრივი. დინამიკური ეკვივალენტობა ორიენტირებულია რეცეპტორის რეაქციაზე დაც დილობს, უზრუნველყოს ორიგინალის მსგავს ზემოქმედება თარგმანის მკითხველზე. ეს განაპირობებს ლექსიკისა და გრამატიკის ისეთ ადაპტაციას, რომლის დროსაც თარგმანი ჟღერს ისე, თითქოს დაწერილი იყოს თარგმანის ენაზე [Nida, 1986: 36]. ნაიდასმიერ დინამიკური ეკვივალენტობის ინტერპრეტაცია, საკმაოდ ახლოა ადეკვატურობის გაგებასთან. საინტერესოა, რომ მოგვიანებითი, ნაიდაუარს ამბობს ტერმინ „დინამიკურ ეკვივალენტობაზე“ და ანაცვლებს მას ტერმინით „ფუნქციონალური ეკვივალენტობა“, რასაც იმ გარემოებით ხსნის, რომ მის ადრეულ ნამუშევრებში „თარგმნის პროცესი“ ხასიათდებოდა გამომდინარე იქიდან, თუ როგორ უნდა ჩასწვდომოდნენ თარგმანის რეცეპტორები თარგმანს იმდენად, რომ

განესაზღვრათ ადრესატების შესაფერისი რეაქცია ორიგინალის ტექსტზე [Nida, 1986: 36].

სიტუაციურ ეკვივალენტობას, რომელიც „ინტუიციურად“ მიიღწევა, პიტერ ნიუმარკიც გამოყოფს [Newmark, 1981:65].

კოლერი განასხვავებს ეკვივალენტობის ხუთ ტიპს: 1)დენოტატიურს, 2)კონოტაციურს, 3)ტექსტუალურ-ნორმატიულს, 4)პრაგმატულს და 5)ფორმალურს. კოლერის რელატივისტური მიდგომა ითვალისწინებს თარგმანის მრავალსაფეხურიან პროცესს. კოლერისთვის ეკვივალენტობა წარმოადგენს ნორმატიულ და არადესკრიპტიულ ცნებას [Koller, 1989: 99-104].

თავისებურ ტრანსლატოლოგიურ უნივერსალიას წარმოადგენს მსჯელობა ოპოზიციურ ტერმინების – „ადეკვატური“/„არაადეკვატური“ (თარგმანი) შესახებ, რომელიც ბელეტრისტიკაში მრავალმხრივ შეიძლება განვიხილოთ, მაგ. ვ. ბიბიხინის თქმით : „სრულფასოვანი თარგმანი“ კომპრომისული ვარიანტია, რომელიც, გარკვეული მიზეზებით, ყველასათვის ხელსაყრელია, მაგრამ რატომ, ამას ვერავინ ხსნის. თავად ცნება „ადეკვატური“ დაზუსტებას, განსაზღვრებას მოითხოვს, რადგან გაურკვეველია, თუ რა კრიტერიუმებით არის ორიგინალი ტექსტი თარგმანის ადეკვატური... თავად ტერმინი „ადეკვატური“ მოიცავს გაურკვეველობას, რადგან, მთარგმნელი არის პასუხისმგებელი თავის თარგმანზე“. ადეკვატურმა მთარგმნელმა ყველაფრის ასაქვება და დაფიქსირება უნდა შეძლოს, მისი პრინციპია ეკლექტიზმი, კომპრომისი, სურვილი, ვიღაცას ასიამოვნოს”[Семко, 1988: 72].

ზემო ხსენებულ ტერმინს, კომუნიკაციის თეორიის ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით, სხვა განმარტებას გვთავაზობს ვ. სდობნიკოვი და ო. პეტროვა თარგმანის ფუნქციურ-კომუნიკაციური ადეკვატურობის პრობლემას უკავშირებენ. „ამგვარი მიდგომა გულისხმობს ადრესანტის კომუნიკაციური ინტენციის საფუძველზე ტექსტის დომინანტური ფუნქციის (რომელიც მიმართულია გარკვეული კომუნიკაციური ეფექტის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის ადრესატში შესაბამისი რეაქციის გამოწვევაზე) მაქსიმალურად შესაძლებელ ასახვას” [Сдобников, 2006: 202].

გამომდინარე აღნიშნული მოსაზრებიდან ავტორები ადეკვატურად თვლიან მხოლოდ ისეთ თარგმანს, რომელშიც, ადრესანტის კომუნიკაციური ინტენციის შესაბამისად, ასახულია პირველადი შეტყობინების ფუნქციონალური დომინანტა. აქედან გამომდინარე, თარგმანის ადეკვატურობას წარმოადგენს, როგორც ფუნქციონალურ-პრაგმატული კატეგორია, ორიენტირებული შეტყობინების ადრესანტის ენაზე გამოხატულ ინტენციასა და შეტყობინების ადრესატის რეაქციაზე”[Сдобников, 2006: 203]. ვ. სდობნიკოვი და ო.პეტროვა ადეკვატურობის სტრუქტურაში ორ კომპონენტს გამოყოფენ. პირველი თარგმანში საწყისი შეტყობინების ფუნქციის ასახვას გულისხმობს, ხოლო მეორე – ორიგინალისა და

თარგმანის მაქსიმალურ ლინგვისტურ სიახლოვეს. ადეკვატურობის ეს ორი დამახასიათებელი თვისება, ავტორების აზრით, იერარქიულ დამოკიდებულებაში იმყოფება. ამ თეზისის დასაბუთებისთვის ისინი მოიხმობენ ვ. კომისაროვის ეკვივალენტობის დონეების თეორიას, რომლის მიხედვით მსგავს დამოკიდებულებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ენობრივი ნიშნების, გამონათქვამების, შეტყობინების, სიტუაციის აღწერის, კომუნიკაციური განზრახულობისა და თვით ტექსტის დონეზე. იერარქიულად უფრო მაღალ საფეხურზე მყოფი ყველა ფენომენი განაპირობებს ქვედა დონეების ერთეულების შესაძლო ვარიანტების შერჩევას. ავტორები ვარაუდობენ, რომ ყველაფერს განსაზღვრავს კომუნიკაციის მიზანი, რომლის მიღწევაც განაპირობებს თარგმანის ადეკვატურობის მაღალ ხარისხს. შესაბამისად, ეკვივალენტურობის დონის არჩევა – სხვაგვარად რომ ვთქვათ, თარგმანის ორიგინალთან ლინგვისტური სიახლოვის ხარისხი, განპირობებულია თარგმანის ადეკვატურობის მიღწევისამოცანით. მაშასადამე, ვ. სდობნიკოვისა და ო. პეტროვას აზრით, ეკვივალენტურობა ნიშნავს კატეგორიას, რომელიც იერარქიულად წყობით ადეკვატურობით და მასზეა დამოკიდებული [Сдобников, 2006: 211].

ამ ორი ფენომენის მჭიდრო კავშირი განპირობებულია, აგრეთვე, იმფაქტით, რომ ორივე მათგანი მთარგმნელობითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს. ზემოქმედებაზე ორიენტირებულ ტექსტების გადმოცემისას მნიშვნელოვანია ინფორმანტზე ისეთივე ზემოქმედების მოხდენა, როგორსაც ისინი ახდენენ დონორ კულტურაში. ამ საკითხთან ლ. ლატიშევი განმარტავს, რომ ორიგინალი და თარგმანი, პირველ რიგში, თანაბარ ეფექტს უნდა ახდენდნენ და მსგავს რეაქციას უნდა იწვევდნენ, შესაბამის ადრესატებში. ტერმინს „ადეკვატური“ ავტორი ცვლის ტერმინით „რეგულაციური ზემოქმედების თანხვედრა“. ადეკვატურობა მისთვის უფრო კომპლექსური ცნებაა, რომელიც მოიცავს ორიგინალისა და თარგმანის რეგულაციურ იზემოქმედების თანხვედრას. აგრეთვე, მათ გარკვეულ სტრუქტურულ სემანტიკურს იახლოვეს [Латышев, 2000: 25].

ენათმეცნიერებაში თარგმანი განიხილება – როგორც გარკვეულია ქტივობის შედეგი და როგორც პროცესი. ეკვივალენტობის კატეგორიასა. შვეიცერი უკავშირებს თარგმანის, როგორც შედეგის (რეზულტატის) აღქმას, ხოლო ადეკვატურობისას – თარგმანის პროცესულურ ინტერპრეტაციას. თარგმანის ადეკვატურობასა. შვეიცერი მის მიხედვით განსაზღვრავს, თურამდენად შეესაბამება მთარგმნელის მიერ არჩეული სტრატეგია კულტურათშორისი კომუნიკაციის აქტს და კომუნიკაციურ სიტუაციას [Швейцер, 1988: 92- 99].

თეორეტიკოსთა ნაწილი თვლის, რომ ეკვივალენტობაზე საუბარი შეიძლება მხოლოდ ტექსტის დონეზე. და მართლაც, ხშირია შემთხვევები, როდესაც ორიგინალისა და თარგმანის ტექსტები ცალკეულ მონაკვეთებში არ ემთხვევა, ე.ი. ცალკეულ სეგმენტთა ლინგვისტური სიახლოვე მინიმალურია, თუმცა ტექსტები მთლიანობაში ეკვივალენტურებად მიიჩნევა. ამავე დროულად, შეგვიძლია

გავიხსენოთ შემთხვევები, როდესაც ეკვივალენტური ურთიერთობები მყარდება ტექსტების ცალკეული ერთეულების დონეზე (წინადადებების, სიტყვებისა და თვით ფონემების დონეზეც კი). თუ გავიხსენებთ ვ. კომისაროვის ეკვივალენტობის დონეების თეორიას, უნდა დავეთანხმოთ, რომ ეკვივალენტობის დამოკიდებულება მყარდება ორიგინალისა და თარგმანის ტექსტების ყველა ნაწილს შორის. მთარგმნელი ტექსტს თარგმნის ნაწილ ნაწილ და ორიგინალის შესაბამის ფრაგმენტებთან ეკვივალენტურობის მიღწევას ცდილობს, თუმცა ითვალისწინებს ადეკვატურობის მიღწევის აუცილებლობას ზოგადად ტექსტის დონეზე. ყოველივე თქმული გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ეკვივალენტურობის კატეგორია დაკავშირებულია არამართო მთლიანად ტექსტთან, არამედ მის ცალკეულ სემანტთანაც.

როგორც ცნობილია, თარგმანის ყველა სახეობას ადეკვატურობისა და ეკვივალენტურობას მისთვის ტიპური განსხვავებული ურთიერთმიმართებები ახასიათებს. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ვ.სდობნიკოვი და ო.პეტროვა ოთხ შესაძლო შემთხვევას განიხილავენ. პირველ შემთხვევაში, თარგმანი არის ადეკვატური მთლიანობაში, ხოლო ეკვივალენტურობა რეალიზებულია ტექსტის ცალკეული სემანტების დონეზე. ამგვარი თარგმანს, ძირითადად, სამეცნიერო ტექნიკური ტექსტების თარგმანს უკავშირებენ.

მეორე შემთხვევაში, თარგმა ნიშეიძლება იყოს დეკვატური, მაგრამ არაეკვივალენტური ცალკეული ფრაგმენტების. ამ შემთხვევაში, სემანტებს შორის ეკვივალენტური ურთიერთობა მყარდება კომუნიკაციური ინტენციის დონეზე. ორიგინალის და თარგმანის ტექსტების ლინგვისტური სიახლოვე მინიმალურია. ასეთი შემთხვევები ტიპურია მხატვრულ და სხვადასხვა ხასიათის სარეკლამო ტექსტებთან მიმართებაში.

მესამე შემთხვევაში, თარგმანი შეიძლება იყოს ეკვივალენტური, მაგრამ არა – ადეკვატური. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მთარგმნელ მაზუსტი ეკვივალენტების ძიებისას გა მოტოვა, ან ვერ გაიგო ავტორის კომუნიკაციური ინტენცია.

მეოთხე შემთხვევისას თარგმანი არც ადეკვატურია და არც – ეკვივალენტური. ასეთ ვითარებას ადგილი აქვს სპეციალურ ი ტექსტების თარგმნისას, როდესაც მთარგმნელი სათარგმნი მასალის პროფესიულ სფეროში არაკომპეტენტურია, ან ჯეროვნად ვერ ფლობს ენას [Сдобников, 2006: 215].

თარგმანის ადეკვატურობისა და ეკვივალენტურობის კრიტერიუმებით შეფასებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ორიგინალის ჟანრობრივ-სტილისტ ურმახასიათებლებს, რომლებიც განსაზღვრავენ მისი შეფასები სკრიტერიუმებს.

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილი ავტორები თავისებურად განსაზღვრავენ ეკვივალენტური თარგმანის სხვადასხვა კრიტერიუმებსა და მეთოდებს, თუმცა მათი

ძირითადი მოთხოვნები ერთმანეთს ემთხვევა (ორიგინალის ტექსტის ანალიზი, მისი სტილის განსაზღვრა, თარგმანის სტილის გათვალისწინება, ენის სტილისტური რესურსების ეკვივალენტების მოძიება და ა.შ.). ამგვარი ინტერპრეტაციის მეშვეობით შესაძლებელია თარგმანის ფუნქციის და მისი კომუნიკაციის მიზნის განსაზღვრა.

ნებისმიერი ნაშრომისათვის, რომელიც თარგმანის თეორიას ეხება უმნიშვნელოვანეს ია შეფასების კრიტერიუმების დადგენა. ამასთან და კავშირებით ცნობილი ქართველი მეცნიერი გ.წიბახაშვილი წერს: „დღევანდელი თარგმანთმცოდნეობის არსებითი ნაკლია ის, რომ ბევრს ლაპარაკობენ, როგორ იუნდა იყოს თარგმანი, მაგრამ იშვიათად ჩნდება კონკრეტული რეკომენდაციები დასახული მიზნის მისაღწევად და კიდევ უფრო იშვიათად – რა ნიშნის მიხედვით შეიძლება თარგმანის თუნდაც მიახლოებული შეფასება დადებითად და უარყოფითად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესაძლებელია თუ არა ისეთ იობიექტური კრიტერიუმების დამუშავება, რომლებიც შედარებით თავისუფალი იქნებიან განუკითხავი სუბიექტივიზმისაგან, რომელიც ხშირად ეშვება პრიმიტიული „მე მომწონს“–„მე არმომწონს“ დონემდე. არადა, თარგმანთმცოდნეობაში დღეს ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად სწორედ შეფასების კრიტერიუმების დადგენა მიგვაჩნია, რადგან არავინ დავობს იმაზე, რომ თარგმანი დედნის იდენტური უნდა იყოს, ოღონდაც ეს სავსებით გასაზიარებელი აზრი იხლიჩება იდენტურობის გაგების სხვადასხვა ვარიანტების შეჯახებისას“ [წიბახაშვილი, 2000: 14].

თარგმანის შეფასების კრიტერიუმებთან და თარგმანის კრიტიკასთან დაკავშირებით ქართულ ენათმეცნიერებაში გარკვეული მოსაზრებები არსებობს. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა პრობლემის დალი ფანჯიკიძისეული მიმოხილვა, რომელშიც მოცემულია საკითხის კომპლექსური ანალიზის მცდელობა. მიმოხილავს რა თანამედროვე მხატვრული თარგმანის საკითხებზე არსებულ ქართულ-კრიტიკულ ლიტერატურას დ. ფანჯიკიძე რიგ ტენდენციებს გამოკვეთს: გამოკვლევათა შორის შედარებით „უფრო კვალიფიციურია თარგმანის ენისადმი მიძღვნილი წერილები, სადაც კომენტირებულია თარგმანში შემჩნეული უხეში აზრობრივი და ენობრივი შეცდომები და სათანადო დასკვნაცაა გამოტანილი, რომ ენობრივად გაუმართავი, ანუ ნორმატიული სტილისტიკის დონეზე დაბლა მდგომი თარგმანები არ უნდა იბეჭდებოდეს“ ... ქართული ენის ბუნებრიობის შენარჩუნება - აიპათოსი, რომლითაც ამგვარი წერილებია გაჟღენთილი. ამგვარი სტანდარტით თარგმანის შეფასებას თან ახლავს თარგმანის მხოლოდ ერთ დონეზე შეფასების საფრთხე, რომლი ს კარგი მაგალითია „სახოტბო რეცენზიის“ სტერეოტიპი. ამ ტიპის რეცენზიებში შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი ქართული ენაა (მისი ვარიანტებია: მშვენიერი, ლაღი, მარღვიანი, დახვეწილი ქართული და ა.შ.). ამ შეფასებას წინ უძღვის მწერლის ბიოგრაფია, თარგმნილი ნაწარმოების შინაარსი, დასკვნის სახით კი ბოლოში ერთვის ფრაზები: „გამომცემლობამ ამ თარგმანის გამოცემით კარგი საქმე გააკეთა“, ან „ქართველმა მკითხველმა ამ თარგმანის სახით მშვენიერი საჩუქარი მიიღო და მისთანანი“ [ფანჯიკიძე, 1988: 34].

თვლის, რომ „თარგმანის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გამართული ენა არის ის საფუძველი, რომელიც თარგმანს ლიტერატურულ ფაქტად აქცევს, ხოლო თარგმანის აკვარგანობის საკითხი ამ დონის ზემოთ დგება. თარგმანზე იოლად წერის ტრადიციას კი, ალბათ, ისიც უწყობს ხელს, რომ ენის დონეზე გაცილებით იოლია თარგმანის გაკრიტიკება ან მოწონება, ვიდრე სტილის დონეზე ანალიზი“ [ფანჯიკიძე, 1988: 34]. სამწუხაროდ, ბოლო ფრაზაში თვით დ.ფანჯიკიძე ვერ გაექცა ენათმეცნიერების ტრადიციულ სტერეოტიპს და ლინგვისტური მიდგომის მდარე გაგებას დაეფუძნა. თანამედრო ველინგვისტიკისთვის, რომლის მიმართულებებია „ტექსტი სლინგვისტიკა“, „ლინგვო კოგნიტოლოგია“, „კომუნიკაციურ ილინგვისტიკა“, სტილის დონეზე ანალიზი ისეთივე ელემენტარულია, როგორც „ენის დონეზე ანალიზი“ ტრადიციულ კონცეფციაში.

თავის ნაშრომში გამოთქმულ საინტერესო მოსაზრებების მიუხედავად, დ. ფანჯიკიძე [ფანჯიკიძე, 1988: 37] იძულებულია, აღიაროს: „საქმე ისაა, რომ დღეს ვერ ვიტყვით, თითქოს მიღწეული იყოს სრული თანხმობა თარგმანის შეფასების კრიტერიუმებში, მაგრამ მაინც შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ოპტიმალური კრიტერიუმი, რომლებსაც აღიარებს თეორეტიკოსთა და პრაქტიკოსთა უმრავლესობა“.

დ. ფანჯიკიძე ხაზს უსვამს იმას, რომ მხატვრული თარგმანი შემოქმედების ფორმაა და მისი ღირსება არ შეიძლება წმინდა ენობრივ მხარეზე იმაზე მეტად იყოს დამოკიდებული, ვიდრე ეს ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებშია დასაშვები. აქედან გამომდინარე, თარგმანის კრიტიკული ანალიზიც, ძირითადად, იმავე პრინციპით უნდა წარიმართოს, როგორც ორიგინალურ ნაწარმოებს ვუდგებით ხოლმე. დ. ფანჯიკიძის აზრით, თარგმანის შეფასებისას უეჭველად გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორი: დედანში ასახული სინამდვილის წვდომა და გადმოცემა გართულებულია ამ სინამდვილის გამომსახველი მზასისტემის არსებობით. თუ თარგმანში სწორედ ის საშუალებები არ იქნა აღდგენილი, რაც ორიგინალში იყო მოცემული, მაშინ დასაშვებ ნორმაზე მეტად გაიზრდება დედნისაგან თარგმანის დაშორების კოეფიციენტი. დასაშვებ ნორმას კი განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ორიგინალისა და თარგმანის ენას შორის არსებული განსხვავების გამო თარგმანში ისედაც იკარგება ნაწარმოების სტილისტური სისტემის ზოგიერთი კომპონენტი და მათი დანაკარგების რიცხვი ამ იძულებთ ნორმას არ უნდა ასცილდეს. თარგმანის შეფასების კრიტერიუმებთან და თარგმანის კრიტიკასთან დაკავშირებული დ.ფანჯიკიძის აღნიშნული მოსაზრებები შეიძლება ქართულ თარგმანთმცოდნეობაში საკითხის სისტემური გააზრების პირველ მცდელობად ჩაითვალოს. სამწუხაროდ, როგორც პირველი მცდელობა, არც ის არის მოკლებული გარკვეულ ხარვეზებს. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება თარგმანის ერთი ტიპისთვის დამახასიათებელი პარამეტრების გავრცელებას სხვა ტიპის ტექსტებზე. თარგმანთმცოდნეობის თეორიის უმნიშვნელოვანეს პრობლემას თარგმანის შეფასების პრობლემა წარმოადგენს, რომელთან მიმართებაშიც ყველა კატეგორია სუბორდინაციულ დამოკიდებულებაში იმყოფება.

შეფასები სკრიტიკერიუმებზე თავისებურად მსჯელობს ისრაელელი მეცნიერი გ.ტური, რომლის თანახმადაც ტრადიციული მიდგომა თარგმანის თეორიას ნორმატიულად აქცევს და ზღუდავს, ვინაიდან ანალიზის სფეროდან მრავალ რეალურ თარგმანს გამოირიცხავს, რომლებიც აპრიორულად არ აკმაყოფილებენ ეკვივალენტურობის პირობას. გ. ტურის კონცეფციის ამოსავალი პუნქტია თარგმნილი ტექსტის რეციპიენტი კულტურის ტექსტების სისტემაში ფუნქციონირება. თარგმანი განისაზღვრება, როგორც კომუნიკაცია თარგმნილი შეტყობინებების მეშვეობით გარკვეულ კულტურულ–ენობრივ საზღვრებში. ეკვივალენტური ურთიერთობები, გ. ტურის მიხედვით, წინასწარ კი არ არის განსაზღვრული, არამედ შეპირისპირების შედეგად გამოვლინდება. ტექსტი იმიტომ კი არ არის თარგმანი, რომ ორიგინალს შეესაბამება, არამედ, პირიქით, თუ ეს არის თარგმანი, ის თავისი არსით უკვე ეკვივალენტურია პირველადი ტექსტისა. ავტორის აზრით, არაეკვივალენტური თარგმანი არ არსებობს. თარგმნილმა ტექსტმა რომ იფუნქციონიროს ახალი კულტურის ტექსტობრივ სივრცეში, ისმის ალბი უნდა იყოს რეციპიენტი კულტურის ენობრივი და ლიტერატურული სისტემებისთვის. თარგმნილი ტექსტის სტატუსი რომ ჰქონდეს, ის მაქსიმალურად ზუსტად უნდა ასახავდეს ორიგინალს და მისი ადეკვატური იყოს. ადეკვატურობაში. ტური ჰიპოთეტურ ერთეულს – ორიგინალთან მაქსიმალურ დაახლოებას გულისხმობს. თარგმანის ტექსტი ყოველთვის წარმოადგენს თავისებურ კომპრომისს ადეკვატურობასა და მისაღებობისკენ მისწრაფებას შორის [Toury, 1995: 25].

ამგვარად, თარგმანი სხარისხის შეფასების განხილული კრიტერიუმები, ნორმა ტიულ კრიტერიუმებთან ერთად, შემდგომი კვლევისთვის გარკვეულ საფუძველს ქმნიან. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ შეფასების სისტემა შემდგომ კვლევ ასა და დეტალიზაციას მოითხოვს, რასაც ადასტურებს ანტონიო ეტინგერის სიტყვები: „რაოდენ პრობლემურიც არ უნდა იყოს თარგმანის სირთულეები, თარგმანის ხარისხის შეფასების სირთულეები არანაკლებ პრობლემურია და, სამწუხაროდ, ამ საკითხში ყველა საკუთარი თავის მსაჯულია“ [Крупнов, 1976: 61].

§2. აუცილებლობის გამომხატველი მოდალური ზმნები ინგლისურ

ენაში და მათი თარგმნის საშუალებები ქართულ ენაზე

პირველ თავში ჩამოთვლილი მოდალობის სახეობებიდან ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ აუცილებლობაზე, რომლებშიც განვიხილავთ აუცილებლობის სხვადასხვა ნიუანსებს: ვალდებულებას, წინასწარ დაგეგმილ შეთანხმებულ აუცილებლობას, აუცილებლობის არ არსებობას, აკრძალვას და სხვა. ჩვენ დავინტერესდით სხვადასხვა სახის აუცილებლობის გამომხატველი მოდალური ზმნებით და შესავალში მოხსენიებული ინგლისური და ამერიკული პროზის ნიმუშებიდან მოვიძიეთ შესაბამისი მასალა, რომელიც შევადარეთ ამ ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნილ ვარიანტებს. შედარების შედეგად დავადგინეთ, რა საშუალებებით გადმოვცემთ ქართულ ენაზე მოდალური ზმნებით წარმოდგენილ აზრს. ეს საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ქართულ ენაში მოდალური ზმნები არ გვაქვს. არსებობს მოდალური ნაწილაკი “უნდა” და მოდალური სიტყვები: აუცილებელია, რა თქმა უნდა, რასაკვირველია, საჭიროა, სავალდებულოა და სხვა. ზემოაღიწვეულ ნაწარმოებებში მოძიებულმა მასალამ მოგვცა საშუალება, ისინი წარმოგვედგინა ასეთი სისტემით:

აუცილებლობის და ვალდებულების გამომხატველი ზმნები: must მისი

ექვივალენტებით to have to, to be to, to be obliged to, should, ought to, need,

დავალაგეთ ნიუანსობრივი მნიშვნელობის მიხედვით.

1. ვალდებულება obligation

შეიძლება გამოიხატოს ზმნებით:

a) Must

1. We must all help young writer.

/ E . Hemingway “Fiesta“ p. 53/

ყველამ უნდა შეუწყოს ხელი ახალგაზრდა მწერალს.

/ ე. ჰემინგუეი “ფიესტა“ გვ. 310/

2. Now we must make our plans about the other things.

/ E. Hemingway ”To Have and Have Not”

p.107/

-ახლა მოდი მოვილაპარაკოთ რა გავაკეთოთ მომავალში.

/ე. ჰემინგუეი “ქონა თუ არ ქონა” გვ. 105/

3. The young man must make his way.

/E. Hemingway Fiesta” p. 96/

კაცმა ახალგაზრდობაში უნდა გაიკაფოს ცხოვრების გზა.

/ე. ჰემინგუეი “ფიესტა” გვ. 92/

4. She recognized in him a sure trustee of the family soul that must so soon slip beyond her keeping.

/J. Galthworthy ” The Man of Property” p. 21/

ის მიაჩნდა მას ფორსაიტთა ოჯახის ტრადიციების ნამდვილ საიმედო დამცველად ტრადიციებისა რომელთა დაცვაც თვით პაპიდა ენსაც უკვე დიდხანს აღარ მოუწევდა.

/ჯ. გოლსუორსი “მესაკუთრე” გვ.20/

5. The feeling that her lover must be conquered was strong enough to sustain her till his retiring footsteps bright home the true extent of her wretchedness.

/J. Galthworthy ”The Man of Property” p. 127./

იმის შეგრძნება, რომ მისი გული უნდა შეენარჩუნებინა და ამისათვის ბრძოლა იყო საჭირო, სულიერად ამაგრებდა, მაგრამ როდესაც მომავალი ბოსინის ნაბიჯების ხმა შემოესმა, მან იგრძნო თავისი უბედურების ნამდვილი მნიშვნელობა.

/ჯ. გოლსუორსი “ მესაკუთრე“ გვ. 121./

6. We must be there before the curtain rises. You must see her in the first act.

/O. Wilde ”The Picture of Dorian Gray” p. 81./

სჯობს წარმოდგენის დაწყებამდე იქ ვიყოთ. პირველ მოქმედებაში უნდა ნახო.

/ო. უაილდი “დორიან გრეის პორტრეტი” გვ77/

7. I must say that you should have shown more consideration.

/ E. Hemingway "Fiesta" p. 87./

უნდა გამოგიტყდე და გულწრფელად გითხრა, მეტი გულშემატკივრობა უნდა გამოგეჩინა.

/ ე. ჰემინგუეი " ფიესტა " გვ. 87./

8. The men had been sent out to dine at Eustace's Club, it being felt that they must be fed up.

/J. Galthworthy "The Man of Property" p.

189./

კაცებს ეუსტასის კლუბში აგზავნიდნენ რადგან ისინი იქ კარგად უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ.

/ ჯ. გოლსუორსი " მესაკუთრე " გვ. 179./

b) Have to

1. Do I have to bait this priest alone without support ?

/E. Hemingway " A Farewell to Arms"

p.161./

სხვების დაუხმარებლად, მარტოვან, როგორ ვაქილიკო მღვდელი?

/ ე. ჰემინგუეი " მშვიდობით იარაღო " გვ.

141.

2. We would have to be married under Italian law and the formalities were terrific.

/E. Hemingway " Fiesta" p. 115/

თუ ვიქორწინებდით იტალიური კანონების მიხედვით

უნდა გვექორწინა, ამას კი სშინელი ფორმლობა სჭირდებოდა.

/ე. ჰემინგუეი " ფიესტა " გვ. 95./

3. I'll have to go back to the front pretty soon.

მალე ფრონტზე უნდა დავბრუნდე.

/ ე. ჰემინგუეი “ მშვიდობითიარალო“ გვ.97./

2. მდგომარეობით გამოწვეული ვალდებულება

Obligation arising out of circumstances

Have to

1. Then I started to think he was not even on the crew list and I'd have to pay a fine for bringing him.

/E. Hemingway ” A Farewell to Arms”p. 57./

მერე ისიც მომაგონდა, რომ მეზღვაურთა სიაში არა მყავდა

ჩარიცხული და ჯარიმას გადამახდევინებდნენ.

/ე. ჰემინგუეი “ მშვიდობითიარალო“გვ.

508./

2. You have to reel that line in first, I told him.

/ E. Hemingway ”The Old Man and the Sea” p.

27./

ჯერ ძუა უნდა დავახვიოთ - ვუპასუხებმე.

/ ე. ჰემინგუეი “ მოხუციდაზღვა“ გვ. 481./

3. A writer has to know about everything – Richard Gordon said.

/ E. Hemingway ”Fiesta” p. 35./

მწერალმა ყველაფერი უნდა იცოდეს - თქვა რიჩარდ გორდონმა.

/ე. ჰემინგუეი “ ფიესტა“გვ. 67./

4. “We have to be near the hospital anyway on account of Madame”, I said.

/ E. Hemingway ” A Farewell to Arms”p.226. /

ხომ იცით რომ ქალბატონის გამო სავადმყოფოსთან ახლოს უნდა ვიყოთ, ვუთხარი მე.

/ე. ჰემინგუეი “ მშვიდობითიარალო“ გვ. 230./

5. You know we poor artists have to show ourselves in society from time to time, just to remind the public that we are not savages.

/O. Wilde ” The Picture of Dorian Gray” p.27/

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ საბრალო მხატვრებმა დრო და დრო საზოგადოებას უნდა წარვუდგინოთ ხოლმე თავი, რათა შევახსენოთ, რომ ველურები არ ვართ.

/ო. უაილდი “ დორიანგრეისპორტრეტი“ გვ. 15./

6. World had to be in a trial, that the meanest flower might blow.

/O. Wilde ” The Picture of Dorian Gray” p.59./

სამყარომ მშობიარე ქალის მძიმე ტკივილები უნდა გამოსცადოს, რათა თუნდაც სრულიად უბრალო ყვავილმა გაახილოს თვალი.

/ო. უაილდი “ დორიანგრეისპორტრეტი“ გვ. 52.

7. Soams who had to arrange some details in the cemetery office walked away with Bosinney.

/J. Galthworthy ”The Man of Property” p.112./

სომსი , რომელსაც მესაფლავებებისათვის კიდევ რაღაც წვრილმანი მითითებები უნდა მიეცა ბოსინისთან ერთად გაემგზავრა.

/ჯ. გოლსუორსი “ მესაკუთრე“ გვ. 107./

3. ვალდებულება გამოწვეული-obligation arising

a) წინასწარი დაგეგმვით

Out of plan

1. I asked what time the attack was to be and they said as soon as it was dark.

40

/E. Hemingway "A Farewell to Arms" p. 64/

მე ვიკითხე შეტევას როდის დაიწყებენ მეთქი, როგორც კი ჩამოხნელდებაო, მიპასუხეს.

/ ე. ჰემინგუეი " მშვიდობითიარალო " გვ. 66./

2. The next afternoon we heard there was to be an attack up the river that night and that we were to take four cars there.

/ E. Hemingway "A Farewell to Arms" p. 60./

მეორე დილას გავიგეთ რომ ღამით მდინარის სათავეებში შეტევას დაიწყებდნენ და ჩვენც იქით უნდა გავმგზავრებულიყავით ოთხი მანქანით.

/ ე. ჰემინგუეი " მშვიდობითიარალო " გვ. 39./

3. We were to play a duet together – three duets, I believe.

/ O. Wilde "The Picture of Dorian Gray" p. 37./

რამდენიმე ნაწარმოები უნდა შეგვესრულებინა ერთად, თუ არ ვცდები, მგონებ სამი.

/ ო. უაილდი " დორიანგრეისპორტრეტი " გვ. 26./

4. The bushrangers were to attack them three times, and be defeated with immense slaughter.

/J. Galthworthy "The Man of Property" p. 92/

გზად დიდი ხოცვა - ჟლეტის შემდეგ შეიარაღებულ მძარცველთა ბანდის სამ თავდასხმას მოიგერიებს.

/ ჯ. გოლსუორსი " მესაკუთრე " გვ. 90./

b) მოლაპარაკებით:

Out of arrangement:

1. The car was to pick us up at the hotel in forty minutes.

/E. Hemingway "A Farewell to Arms" p. 36./

§3. მოდალობა და მხატვრული თარგმანი

ტიპოლოგიურ კვლევებში შესამჩნევი განსხვავებაა ენის გრამატიკულ კატეგორიებს შორის. თუმცა, ალბათ, ყველაზე დიდი განსხვავება მოდალურ კატეგორიებშია. ერთი ყველაზე რეალური მიდგომა მოდალობისგან ხილვისას არის ორმაგი მიჯნის დადება "არამოდალურ" და "მოდალურ" და "დეკლარაციულ" და „არადეკლარაციულ“ გაგებას შორის. ეს განსხვავება ძირითადად უკავშირდება აზრობრივ კონტრასტს "ფაქტობრივ" და "არაფაქტობრივ" და "რეალურ" და "არარეალურ" ცნებებს შორის. მართლაც, სხვადასხვა ენაში, საკმაოდ ფუნდამენტურ დონეზე, კატეგორიები განსხვავდება რეალური და არარეალური ვარიანტების მიხედვით. ერთ ენაში გადმოცემული ცნება შეიძლება გაგებულ იქნეს რეალურად, მეორეში – არა რეალურად, მაშინ, როცა სხვა ენაში იგივე მოვლენა საერთოდ არ ეხებოდეს მოდალობის სისტემას [Palmer, 2001: 1- 2]. მოდალობა საკმაოდ ფართოდ აკომპლექსური საკითხია. მის კვლევას სხვადასხვა ენებში დიდი და ხანგრძლივი ისტორია აქვს. მოდალობის პრობლემა იწვევდა ინტერესს სხვა და სხვა ეპოქისა და მიმართულებების სწავლულთა შორის. თანამედროვე მეცნიერებაში ამ ტერმინს ხშირად იყენებს ფილოსოფია, ლოგიკა, ლინგვისტიკა და, ასევე, ფსიქოლოგია.

მიუხედავად ამისა, არ არსებობს ერთი ზოგადი დეფინიცია, რომელიც ამომწურავად ასახავდა მოდალობის შინაარსს. ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა პოზიციიდან და მიზნიდან გამომდინარე, ყურადღება მახვილდება მოდალობის სხვადასხვა მხარეზე. თუმცა, ნებისმიერი განსაზღვრება ეხება მოლაპარაკის დამოკიდებულებას ზმნით გამოხატული მოქმედების, აუცილებლობის, შესაძლებლობის მიმართ. "მოდალობა ანუ რაგვარობა გულისხმობს ნათქვამის მიმართებას სინამდვილისადმი, რაც წინადადებაში სხვა და სხვა საშუალებით გადმოიცემა" [კვაჭაძე, 1988: 31].

ამ მხრივ, გამოიყოფა სხვადასხვა ტიპის წინადადება: ა) გამოხატავს უეჭველობას, უტყუარობას, რისიმე დადასტურებას: სინამდვილის თვალსაზრისით მოქმედის შინა არსი შეიძლება არ იყოს ნამდვილი, მაგრამ მთავარია ის, რომ მოქმედს გადმოცემული აქვს როგორც ნამდვილი, უტყუარი ფაქტი. ამ ტიპის წინადადება მოდალობის მიხედვით ძირითადია. ბ) გადმოგვცემს მოქმედის ვარაუდს, შესაძლებლობას, არარეალურობას, სასურველობას; გ) გამოხატავს მოქმედის ნება-

სურვილს, ჩვეულებრივ მეორე პირისადმი მიმართულს, რომ მან იმოქმედოს ამ ნება-სურვილის შესაბამისად;

მოდალობა საკმაოდ ფართოს პექტრის მომცველი თემაა. ეს არის გრამატიკული კატეგორია, რაც ბოლო წლებში ენათა ტიპოლოგიური კვლევების საგნად იქცა. ეს არის კატეგორია, რომელიც ასოცირდება დროსთან და ასპექტთან და სამივე ზოგადად, მაგრამ არა ყოველთვის, აღინიშნება ვერბალური კომპლექსის ფარგლებში. აზრობრივი თვალსაზრისით, სამივე კატეგორია უკავშირდება გადმოცემულ მოვლენას ან მდგომარეობას. დრო, ყველაზე კაფიოდ, ეხება მოქმედების დროს, მაშინ როცა ასპექტი - მოვლენის ხასიათს და მოდალობა კი უკავშირდება იმ წინადადების სტატუსს, რომლითაც გადმოცემულია მოქმედება. მოდალობა განსხვავდება დროისა და ასპექტის აგანიმით, რომ ის არ არის პირდაპირ კავშირში მოქმედების რაიმე მახასიათებელთან, არამედ უბრალოდ, უკავშირდება წინადადების სტატუსს [Palmer, 2001: 1].

მოდალობა მოიცავს ორი სახის მოდალურ დამოკიდებულებას: გარეგან და შინაგან მოდალობას. ამის მიხედვით გამოყოფენ მოდალობის ორ ტიპს: სუბიექტურს და ობიექტურს. ობიექტური (გარეგანი) მოდალობა გულისხმობს მთქმელის და რწმუნებულობის ხარისხს მის მიერ გადმოცემული ფაქტებისადმი. ობიექტური მოდალობის გამოხატვის ძირითად საშუალებად მიიჩნევა კილოს კატეგორია (თხრობითი, კავშირებითი, დაბრძანებითი). სუბიექტური (შინაგანი) მოდალობა გულისხმობს მოქმედების სუბიექტისა და მისმიერ განხორციელებულ იქმედების დამოკიდებულებას. სუბიექტური მოდალობის ძირითადი საშუალება არის მოდალური ზმნები. მოდალური საშუალებების გამოყენებით, ჩვენ გამოვხატავთ ჩვენს დამოკიდებულებას განხორციელებული ქმედებისადმი, ვრეაგირებთ შექმნილ მდგომარეობაზე და განვსაზღვრავთ მას.

ცნობილია, რომ კილო ზმნის ის გრამატიკული კატეგორიაა, რომელიც გამოხატავს მოსაუბრის დამოკიდებულებას გამოხატული აზრის მიმართ. ტრადიციულად, კილოს განიხილავენ როგორც ზმნის ერთ-ერთ გრამატიკულ კატეგორიას, რადგანაც, უმეტესში მთხვევაში, ეს არის ზმნის ფორმათა ერთობლიობა, რომელიც გამოხატავს მოსაუბრის დამოკიდებულებას ფაქტობრიობის ან პირობის შესრულება/შეუსრულებლობის მიმართ. კილოს კატეგორია მთლიანად წინადადების მნიშვნელობას განეკუთვნება და არა მხოლოდ ზმნას [ყიფიანი, 2008: 25]. მსგავსად სხვა ენებისა, ინგლისურ ენაშიც განასხვავებენ მოდალობის გამოხატვის შემდეგ ძირითად საშუალებებს: ლექსიკო-გრამატიკულს, ლექსიკო-სემანტიკურს და აკილოს კატეგორიას [ზაბუხარდია, მ., ყიფიანი, ს. 2012: 27].

მოდალობის გამოხატვის ლექსიკო-გრამატიკული საშუალება მოდალური ზმნებია, ლექსიკო-სემანტიკური საშუალება კი მოდალური სიტყვების გამოყენება [Khaimovich, B. S., Rogovskaya, B. I. 1963: 203].

მსგავსად ქართულისა, ინგლისურ ენაში მოდალობა კილოს კატეგორიასთან ერთად განიხილება. ინგლისურში გარჩეულია სამიკილო: თხრობითი (Indicative) – არა მარკირებული კილო, რომლის მიხედვით მოსაუბრე ზმნით გამოხატულ მოქმედებას მიიჩნევს როგორც რეალურ ფაქტს; კავშირებითი (Subjunctive) – გამოხატავს მოქმედებას, რომელიც მოსაუბრის მიხედვით ირეალურია: შესაძლებელი, სავარაუდო; ბრძანებითი (Imperative) – გადმოსცემს მოსაუბრის თვალსაზრისით აუცილებელ მოქმედებას ბრძანების, თხოვნის, რჩევის სახით [მახარაძე, 2010: 238].

თხრობითი კილოს ფორმისათვის არსებითია დროის გამოხატვა და ამდენად, ეს კილო შეწყვილებული აგრამატიკული დროის კატეგორიასთან. ინგლისურ ენაში თხრობითი კილოს ფორმები რეალიზდება ახლანდელი, წარსული და მომავალი დროის გრამატიკული კატეგორიის მეშვეობით.

რამდენადაც მოდალობის, რაგვარობის მიხედვით წინადადების სამი ძირითადი ტიპი გამოიყოფა [კვაჭაძე, 1988: 31], ქართული და ინგლისური ნოველების ენის შესწავლისას გამოვკვეთეთ ეს ტიპები და კვლევის რაოდენობრივი მეთოდით განვსაზღვრეთ მათი პროპორციული მაჩვენებელი. როგორც ანალიზმა ცხადყო, ქართულ ნოველებში დომინირებს თხრობითი წინადადება (78%), 9%-ია - კითხვითი, ხოლო 13% - ძახილის, რომლის 3% შეადგენსკითხვით-ძახილი სწინადადებები. ინგლისური ნოველებში კი შემდეგი სურათი გვაქვს: თხრობითი წინადადება ნოველების ენის 91%-ს შეადგენს, კითხვითი- 7%-ს, ხოლო ძახილის - 2%-ს.

კვლევაში ასევე განვსაზღვრეთ წინადადების ტიპები მტკიცების მიხედვით და წარმოვადგინეთ წართქმითი და უკუთქმითი წინადადებების რაოდენობრივი მაჩვენებელი. როგორც კვლევამ ცხადყო, ქართულ ნოველებში თხრობითი წინადადების 84% წართქმითია, ხოლო 16% - უკუთქმითი; ინგლისურ ნოველებში კი წინადადების 78% წართქმითია და 22% უკუთქმითი. ცნობილია, რომ უკუთქმით შინაარსს წინადადებას აძლევს უარყოფითი ნაწილაკი, უარყოფითი ნაცვალსახელი ან უარყოფითი ზმნიზედა [კვაჭაძე, 1988: 30]. თითქმის ერთნაირი შედეგი მოგვცა უარყოფით ნაწილაკიანი უკუთქმითი წინადადების რაოდენობრივ მამაჩვენებელმა ქართულ (87%) და ინგლისურ (88%) ნოველებში.

რაც შეეხება უარყოფითი ნაცვალსახელისა და ზმნიზედის მონაწილეობას უკუთქმითი წინადადების ფორმირებაში, აქ განსხვავებული სურათი მივიღეთ: ქართულ ენაში უკუთქმითი წინადადებების 10% უარყოფითი ნაცვალსახელით არის ნაწარმოები და 3% - ზმნიზედით, ხოლო ინგლისურ ნოველებში საპირისპირო შედეგი გვაქვს: 10% უარყოფითი ზმნიზედა (ცალსახად გამოვლინდა never/არასოდეს ზმნიზედის უპირატესობა) დამხოლოდ 2% ნაცვალსახელი.

საანალიზო ენებში კითხვითი წინადადებებიდან მეტი ექსპრესიულობით გამოირჩევა რიტორიკული კითხვები: „კარგი, ჩემო ბატონო! ეს, ვთქვათ, ერთხელ, ორჯერ, გუშინწინ, ორი კვირისწინ, მაგრამ ყოველდღე?... სადაა სტუმარი, სადა ამომსვლელი.

თუ როგორმე დააღამე, გათენება არ გინდა?... ჩაიბარა ეს დღეც უფალმა. რა შეიცვალა მერე?...ამას რამე სჯობია? ... რას ეტყვი? რაც არ უნდა, ღმერთმა ნუ მისცეს. მაგრამ მე შენ გეკითხები: კაცია ახლაც ეს?...პელაგია ხმას არიღებს. ესე იგი, ყველაფერი კარგადაა. მიხვდა ნეტავ რამეს პელაგია?“ [მიშვ. 1977: 5, 6, 10, 12,13];

კითხვითი წინადადებები არამარტო ინფორმაციის მიღების, არამედ პერსონაჟის გრძნობების, შინაგანი მდგომარეობისა და ემოციის გამოხატვის შესანიშნავ საშუალებად გვევლინება ნოველებში: That was only a year ago. “Luckily”— why luckily?—“I was alone.” Where had he been that night?... Was she waiting up for him when he came back? Had the room looked just as usual? Were there glasses on the table? Were the chairs drawn close together?“ – „სადილის შემდეგ მოულოდნელად ბ. მ. მოვიდა. საბედნიეროდ მარტო ვიყავი“. ეს სულ რაღაც ერთი წლის წინ იყო. „საბედნიეროდ“. რატომ საბედნიეროდ? „მარტო ვიყავი“ თვითონ სად იყო იმ საღამოს?... როცა უკან დაბრუნდა ცოლი ელოდა თუ დაწოლილი დახვდა? ოთახი ჩვეულებრივად გამოიყურებოდა? ეწყო თუ არა ჭიქები მაგიდაზე? სკამები ერთმანეთთან ახლოს იყო მიწეული?“ [ვულფი, 2013: 136]; [https://ebooks.adelaide.edu.au/w/woolf/virginia/w91h/chapter16.html] “Who,” he thundered, “is B. M.?” – „- ვინარის, -დასჭექამან - ბ.მ.?“ [იქვე]; „You have cut off your hair?“ asked Jim...“You say your hair is gone?“ [O. Henry, 2012: 4] – „თმა შეიჭერი? - იკითხავი... - შენ ამბობ, რომ თმა აღარ გაქვს?“ [ო'ჰენრი, 2011: 9].

წინადადების სამი ძირითადი ტიპის გარდა, სხვადასხვა ემოციური ელფერის გამოხატვის მიხედვით გამოიყოფა დამატებით ძახილის დაკითხვით-ძახილის წინადადებები. აღსანიშნავია, რომ ინგლისურ სამეცნიერო ლიტერატურაში რა გვარობის მიხედვით წინადადებების ოთხი ტიპი გამოიყოფა: თხრობითი, კითხვითი, ძახილის დაბრძანებითი [Aartz, 2001: 58], ხოლო კითხვით-ძახილის წინადადება ინგლისურ ენას არ ახასიათებს.

ძახილის წინადადებებში ტრანსფორმირებული ემოციები ძირითად ჯგუფებად დავყავით. დადასტურდა, რომ ინგლისურ ნოველებში ამ ჯგუფებიდან ყველაზე მეტია კმაყოფილების, მოწონების, სიხარულის გამომხატველ იწინადადებები:

"Beautiful!" exclaimed the sergeant, pausing in the act of lighting a cigarette. "Beautiful, my friend!"“მშვენიერია! წამოიძახა სერჟანტმა და ნელა მოუკიდა სიგარას, - მშვენიერია, ჩემო მეგობარო! [ამერ. ნოვ. 1968: 76];

“How proud I am to be his wife!” – „როგორც ვამაყობ, რომ მისი ცოლი ვარ“ [ვულფი, 2013: 132];

And here he was to receive fifty cents a day; for one day, only one day, he was to receive that princely sum! იმას ორმოცდაათი ცენტი უნდა მიეღო დღეში - ამდენი ფული ერთ დღეში! [ამერ. ნოვ. 1968: 64];

„რამ შევნიერია მარინე! - სხვათაშორის გაუელვა თავში საბას“ [ლორთქ. 1958: 70];

„-ამოვიდა!.. - უნებურად ატაცებით წამოიძახა თიკომ“ [არაგვ. 1970: 149];

ქართულ ნოველებთან ძახილის წინადადებები ყველაზე მეტად უარყოფითი ემოციის გამოხატვას ემსახურება. მათშორის ყველაზე ხშირია მწუხარება/შიშის გამომხატველი წინადადებები:

„ - გარდაიცვალა!.. - წამოიძახა მწუხარებით დამ და თედოს გამხმარ სახეს დაეკონა“ [არაგვ. 1970: 90];

„-რა იცი, მინაგო, რა იცი! არ მოგვრეჯგვოს სახლში ჭუკვივით [მიშვ. 1977: 7]; „-რას ვიზამთ, პელო დეიდა. არ მქონია იღბალი და ესაა!“ [მიშვ. 1977: 16]; „-ვინ ხართ, რას მერჩით! -გამშრალი ყელიდან ძლივს ამოდერდა ამბერკიმ და საწოლზე წამოჯდა“ [მიშვ. 1977: 25];

„წავალ და გადავვარდები წყალში!“ [ლორთქ. 1958: 75]; „That was a famine!“ – „აი, სწორედ ეს იყო შიმშილი!“ [ლონდ. 1966:84]; „Hear them whine! How they hated the work and the trail! They were off!“ - „აწკმუვლდნენ ძაღლები, რაოდენ სძულთ მათ გარჯა და შორი გზა! წავიდნენ!“ [ლონდ. 1966: 81];

„Oh! dear me, the mystery of life; The inaccuracy of thought! The ignorance of humanity!“ - „ოჰ, 119 ღმერთო ჩემო, ცხოვრების იღუმალეზა. აზროვნების უმწეობა! ადამიანური უმეცრება!“ [ვულფი, 2013: 45].

გაკვირვება, გაოცების:

“How hot it was!” - „როგორც ხელოდა!“ [ვულფი, 2013: 42]; “Three guineas for one hat!” – „სამი გინეა ერთი ქუდისათვის!“ [ვულფი, 2013: 135].

დანანება, სიბრაალულის:

“Poor Sissy Miller!” he said, half laughing” - “საწყალი სისი მილერი! - თქვა და ჩაეღიმა“ [ვულფი, 2013: 131].

“Poor fellow, he was only twenty two – and to be burdened with a family!” [O. Henry, 2012: 3] – “საწყალი ბიჭი, მხოლოდ ოცდაორი წლისაა და უკვე ოჯახი ჰყავს სარჩენი!..“ [ო'ჰენრი, 2011: 8];

დაცინვა, ნიშნისმოგების:

„But these Frenchmen did not torture - bigger fools they!“ - ფრანგები კი არ მიმართავენ ამ საშუალებას - ნამდვილი ბრიყვები არიან“ [ამერ. ნოვ. 1968: 63];

მუქარის:

„თუ გტაცე ერთი ხელი, გაწრიპინებ თრითირინასავით! - შეაშინა საბამ და წამოიწია [ლორთქ. 1958: 70]; „თუ არ გადმოხტები, იცოდე, შენსა სარაფერს დავიჯერებ. მომწყინდა. მეყოფა უკვე!“ [მიშვ. 1977: 81].

ზიზღი, სიძულვილის:

„-არაა კაი კაცი, რაც მართალია, მართალია!“ [მიშვ. 1977: 19]; „ნეტავი ეხლა მო ვიგდო ვინმე ხელში, რომ ჩემის კბილებით დავგლიჯო, დავფლითო და იმის ტანჯვით დავსტკბე, იმის ვაებაზე ვიკასკასო!... [არაგვ. 1970: 60];

„-ახალი წელიწადი უკვე დადგა!.. ახალ წელს ეგებებიან! ერთმანეთს სიხარული თუ ლოცავენ!.. ჩემი მტანჯველნი მხიარულობენ!... - მეტის მეტი სიასპიტისაგან მიხირინწებულის ხმით ჰყვიროდა და გამალებულიდარბოდა ოთახში...“ [არაგვ. 1970: 60].

როგორც აღნიშნავენ, ბრძანებითი წინადადება ინგლისურ ენაში ინფინიტივით (To ნაწილაკის გარეშე) გადმოიცემა, ხოლო ქართულში კილოს მწკრივთა მრავალფეროვნებით ხასიათდება [ლაზვიაშვილი, შ., გელდიაშვილი, ნ., დარიბაშვილი, მ. 2014: 128].

ბრძანებითი წინადადება, როგორც ვიცით, ბრძანების გარდა, შეიძლება გამოხატავდეს რჩევას, მოწოდებას და ა.შ.

ამრიგად, რაგვარობის მიხედვით ინგლისური ნოველა მეტად ხასიათდება თხრობითი წინადადებით, ვიდრე ქართული. ქართულ ნოველაში აშკარად დიდია კითხვითი, ძახილის და კითხვით-ძახილის წინადადებების ექსპრესიული ფუნქცია. ქართული ნოველა მეტად ხასიათდება წართქმითი წინადადებებით, ვიდრე ინგლისური. უკუთქმითი წინადადებებიდან უარყოფითი ნაწილაკი ერთგვარად დადასტურდა საანალიზო ენებს შორის. რაც შეეხება უარყოფით ნაცვალსახელსა და ზმნიზედას, ქართულ ნოველაში, ინგლისურისაგან განსხვავებით, უპირატესი აუარყოფითი ნაცვალსახელი.

§4. მოდალური საშუალებების ენობრივი გადმოცემის ნაირსახეობა

მოდალობის ლოგიკურ სისტემაში ერთიანდება შემდეგი ჯგუფები:

1. ალეთიკური ანუ ჭეშმარიტების მოდალობა – აუცილებელი, შესაძლებელი, შემთხვევითი, შეუძლებელი;

2. ეპისტემური ანუ ცოდნის მოდალობა – განსაზღვრული (გადაწვეტილი), განუსაზღვრელი (გადაუწყვეტელი), ყალბი;
3. დეონტური ანუ ვალდებულების მოდალობა – ვალდებული, დასაშვები, ინდიფერენტული, აკრძალული;
4. ეგზისტენციალური ანუ არსებობის მოდალობა – უნივერსალური, არსებული, ცარიელი [მახარაძე, 2010: 235]

კონტრასტული ლინგვისტიკა – ეს არის ენათა შედარება სინქრონიაში. ის იკვლევს განსხვავებებს და მსგავსებებს ცალკეულ ენათა (მნიშვნელობათა ცალკეულ სისტემებს) შორის. ამიტომ კონტრასტული ლინგვისტიკა ამოსავლად ირჩევს აღნიშვნის სისტემას («სამყაროს სურათს»), რომელსაც შეიძლება შეუდარდეს ცალკეული ენები როგორც ერთი და იმავე «სამყაროს» გამოხატულებები, გაფორმებული სხვადასხვანაირად. არჩეული «აღნიშვნის სისტემა» შეიძლება იყოს შესადარებელ ენათაგან ერთ-ერთი ან რომელიმე tertium comparationis, რომელიც საშუალებას იძლევა ენათა დაპირისპირებისათვის ერთ დონეზე (კოსერიუ: 69-70; გამყრელიძე და სხვ.: 431-432).

დასახელებულ ილოგიკური ჯგუფებიდან ლინგვისტიკაში მიღებულია ძირითადად ეპისტემური (შესაძლებლობა, დედუქცია) და დეონტური (აუცილებლობა, ვალდებულება) მოდალობები.

ტერმინ ეპისტემურ იწარმოიშვა ბერძნული “ეპისტემი”-დანდანიშნავ სცოდნას. ეპისტემურ იმოდალობა ჭეშმარიტების სტატუსსა ნიჭებს გამონათქვამს მოლაპარაკის ცოდნის ფონზედა შეიძლება ითქვას, რომ არის ვარაუდის მოდალობა.

ტერმინი დეონტურიც ბერძნულიდან წარმოიშვა დანიშნავს “რადაც ვალდებულებით დაბმას, მიჯაჭვას”. დეონტურ იმოდალობაც სუბიექტურია, რაც ვლინდება იმაში, რომ სუბიექტი რაიმე მოქმედების აუცილებლად შესრულებას ავალებს მსმენელს. დეონტური მოდალობა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მოქმედება შესრულდება, რადგანამ ის იპოტენციური შესაძლებლობა არსებობს [ყიფიანი, 2008: 46-48].

როგორც წინაპარაგრაფში აღინიშნა, განა სხვაებენ მოდალობის გამოხატვის ლექსიკო-გრამატიკულს, ლექსიკო-სემანტიკურს და კილოს კატეგორიას, სადაც მოდალობის გამოხატვის ლექსიკო-გრამატიკული საშუალება მოდალური ზმნებია, ლექსიკო-სემანტიკური საშუალება კი მოდალური სიტყვების გამოყენებაა. მოდალობა, როგორც ლინგვისტური ტერმინი, აღნიშნავს მთქმელის მიერ დანახულ კავშირს თქმულსა და რეალობას შორის. როდესაც ვეხებით მოდალურ იზმნების პატარა ჯგუფის “მოდალობის” მნიშვნელობას, ჩვენგან ვიხილავთ მათ ლექსიკურ

მოდლობას. მოდალურ ისიქვეების განხილვისას საქმე გვაქვს ლექსიკურ-სემანტიკურ მოდალობასთან [Khaimovich, 1967: 203].

მოცემულ პარაგრაფში წარმოვადგენთ ქართული და ინგლისური ნოველებისათვის დამახასიათებელ მოდალობის გამოხატვის ლექსიკო-გრამატიკულ და ლექსიკო-სემანტიკურ საშუალებებს.

ერთ-ერთი დეფინიციის თანახმად, მოდალური ზმნები გამოიყენება მოსაუბრის დამოკიდებულების გამოსახატად ინფინიტივით გადმოცემული მოქმედების ან მდგომარეობის მიმართ, ისინი გვიჩვენებენ, რომ ინფინიტივით გადმოცემული მოქმედება მიჩნეულია შესაძლებლად, შეუძლებლად, სათუოდ, სავალდებულოდ, საჭიროდ, საეჭვოდ, გონივრულად და ა.შ. [Kaushanskaya, V. et al. 1963: 118].

შინაარსობრივად მოდალურ იზმნები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად, რომელთა მეშვეობით გამოხატულია: უნარი/შესაძლებლობა /ნების დართვა; ვალდებულება /აუცილებლობა; ვარაუდი/ნება-სურვილი/ნდომა. მოდალური ზმნების უმეტესობა პოლისემანტიკურია: კონტექსტის მიხედვით თითოეულს აქვს ერთი ან რამდენიმე მნიშვნელობა, რომელთაც მოდალობის კატეგორია აერთიანებს. ობიექტურად ძნელია ამ მნიშვნელობათა ზუსტი დადგენა, მაგრამ შესაძლებელია მათი დაჯგუფება ფართო სემანტიკურ კატეგორიებში, როგორცაა ეპისტემური და დეონტური მოდალობები. მოდალური ზმნების სემანტიკა ამ კატეგორიათა მიხედვით იკვეთება [მახარაძე, 2010: 238].

მოდალური სიქვეები ფუნქციონირებენ როგორც წინადადების ჩართული ელემენტები და, ჩვეულებისამებრ, უკავშირდებიან ან მთლიანად წინადადებას. თუმცა, ზოგჯერ შეიძლება დაუკავშირდეს წინადადების მხოლოდ რომელიმე ნაწილს [Khaimovich, B., Rogovskaya, B. 1967: 204].

კვლევამ აჩვენა, რომ დეონტური მოდალობა, გამოხატული ძირითადად *must* მოდალურ იზმნით, ინგლისური ნოველების ენის ექსპრესიულობის ერთ-ერთი მარკერია: „The ragged battalions must be armed“- „ბატალიონები უნდა შეიარაღდნენ!“ [ამერ. ნოვ. 1968: 83];

„Young artists must pave their way to Art...“ [O. Henry, 2012: 180] – „დამწყები არტისტები იძულებულნი არიან, ხელოვნებაში მიმავალი გზა გაიკაფონ...“ [ო'ჰენრი, 2011: 13];

“I must hand those drawings in by to-morrow“ [O. Henry, 2012: 181] – “ილუსტრაცია ხვალ უნდა ჩავაბარო” [ო'ჰენრი, 2011: 14];

დეონტურ იმოდლობის ველს ქართულ ნოველებში ძირითადად ქმნის ზმნური წარმოშობის ნაწილაკი „უნდა“ + II კავშირებით ის მწკრივის ფორმა: “ზნელდება. ხომ უნდა წავიდე აქედან. ხომ უნდა გამოვიდე ამ საშინელ სიზმარიდან!..“ [გამს. 1992: 41];

„-პირველად მეფე-დედოფალმა უნდა იცეკვოს!..“ [ლორთქ. 1958: 78];

„ასე ნელ-ნელა მივიტან, რაც არ უნდა დამოჯდეს, უნდა მივიდე... უნდა გამიშვა. არაა მეტი გზა. მორჩა და გათავდა. უნდა მივიდე... შენც უნდა გამიგო... შენც უნდა შემეწიო ცოტა“ [მიშვ. 1977: 21-22];

შედარებით მრავალფეროვანია გონივრული გადაწყვეტილების, რჩევა დარიგების გამოხატვის საშუალება ინგლისურ ნოველებში, სადაც რომელიმე ზმნა ცალსახად არ იკვეთება. დასახელებული აზრი შეიძლება გადმოიცემოდეს: should მოდალური ზმნით: „As all good things should do“ [O. Henry, 2012: 3] – “როგორც უნდა იყოს ყველა ნამდვილად კარგი ნივთი” [ო’ჰენრი, 2012: 7];

როგორც აღვნიშნეთ, ამგვარ იაზრის გამო ხატვის საშუალებად ინგლისურ ნოველაში რომელიმე ზმნა განსაკუთრებული ინტენსივობით არ გამოირჩევა, განსხვავებით ქართულ ინოველისაგან, სადაც აღნიშნულ ფუნქციას „უნდა“ ნაწილაკი + II კავშირებითი ასრულებს:

„ჯერ, პირველ რიგში, ჩერმამდე უნდა გაკვალო. ტყაპუჭი მოვისხი დათოვლის საწმენდი მოვებნე“ [მიშვ.1977: 11]; „იმათ უნდა იმხიარულონ?!“ [არაგვ. 1970: 60];

ნოველებშიგან საკუთრებულ იექსპრესიულობით გამოირჩევაი სეთიწინადადებები, სადაც წარსულ შიმომხდ არ იარასწორი, არა გონივრულ იქმედება ახაზგასმული, ანპირიქით, საჭიროქმედების, მოვლენ ისგანუხორციელებლობა ააღწერილი:

„He should have killed himself last week... “You should have killed yourself last week,” he said to the deaf man“ [Hem. 1971: 151] – “ბარემ წინა კვირას მოეკლა თავი და გათავებულიყო... „-ჰა და გათავებულიყავ ბარემ წინა კვირას, - უთხრა ოფიციატ მაყრუს“ [ამერ. ნოვ. 1968: 239];

რამდენად მე განსხვავებულია ეპისტემური ველის შექმნის საშუალებები ინგლისურ და ქართულ ნოველებში. ვარაუდის გამოხატველი მოდალური მნიშვნელობა გამოხატავს რეალობის ობიექტსა და განსაზღვრების ნიშანს შორისკავშირის ეპისტემურ შეფასებას, დაფუძნებულს მოსაუბრის ვარაუდზე, რომ არსებობს კონკრეტული კავშირის შესაძლებლობა. ლოგიკური აუცილებლობის მნიშვნელობისაგან განსხვავებით, ალბათობის შეფასება არაა დაფუძნებული აშკარა ფაქტებზე და მტკიცებულებებზე, არამედ იგი ეყრდნობა რეალობის არასრულ ცოდნას. გამოთქმის სემანტიკური ვარიანტი ვარაუდის მოდალური მნიშვნელობით შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ : “ იქიდან გამომდინარე, რაც ვიცით, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ... ” [ყიფიანი, 2010: 443].

ინგლისურ ნოველაში გაცილებით დიდია მოდალური ზმნების როლი ეპისტემური მოდალობის გამოსახატავად, სადაც უპირატესი მაინც მოდალური ზმნა must არის:

„I must have muttered aloud something to myself about the Wandering Jew, for the old man spake up, bitterly and loudly“ [O. Henry, 2012: 458] – “ეტყობა, რაღაც წავიბუტბუტე მარადიული ურიას შესახებ, რადგან მოხუცი ხმამაღლა და სიმწიით ალაპარაკდა” [ო’ჰენრი, 2011: 72];

„Yes, he must be an artist“ [O. Henry, 2012: 425] – „ეჭვი არ არის, მხატვარია“ [ო'ჰენრი, 2011: 192]; „I'm awfully sorry about the odor though. That must bother you“ [Hem. 1971: 272] – „ოღონდ ამ სუნს რა ეშველება. მომიტევე, ალბათ გულს გირევს“ [ამერ. ნოვ. 1968: 243];

გარდა ამისა, ალბათობა, ვარაუდი **might, may** ზმნების საშუალებითაც გამოიხატება:

„With that chain on his watch Jim **might be** properly anxious about the time in any company“ [O. Henry, 2012: 3] – „ჯიმსნების მიერ კომპანიაში თავისუფლად შექმნება დაინტერესდეს, რა დროა“ [ო'ჰენრი, 2011: 7]; „Besides, it might not be a mistake“ – „მერე და, შესაძლოა არავითარი შეცდომაც არ იყოს“ [ამერ. ნოვ. 1968: 72];

„I **may sell** one if the right kind of a moneyed idiot sees them“ [O. Henry, 2012: 23] – „შეიძლება ერთი მაინც გაიყიდოს, თუკი რომელიმე ფულიან იდიოტს თვალში მოხვდება“ [ო'ჰენრი, 2011: 175];

ქართულ ნოველებში ეპისტემური მოდალობა ზმნური წარმოშობის ნაწილაკი „უნდა“ + II კავშირებითი მწკრივის ფორმით გადმოიცემა: „-თქვენ ისეთი ხმა გაქვთ, მთიული უნდა იყოს“ [გამს. 1992: 21]; „ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ თქვენ დანიშნული, ან გათხოვილი უნდა იყოს“ [გამს., 1992: 22]; „-აბა, ჩაეტევა? - უნდა ჩაეტეოს... - და საბამ და კვირვებით გადახედა საწნახელს. უნდა ჩაეტეოს!! იქინე ხარ და ვერ შეამჩნიე?!“ [ლორთქ. 1958: 68].

აღსანიშნავია, რომ ამ გზით შექმნილი ეპისტემური ველი ნაკლებად დასტურდება აქართულ ნოველებში. მის ნაცვლად ალბათობა, ვარაუდი, დარწმუნება და ურწმუნებლობა ჩართული სიტყვებით, ანუ მოდალური სიტყვებით გადმოიცემა. ალბათობის, ვარაუდის გამოხატვის ძირითადი საშუალება ქართულ ნოველაში არის ჩართული სიტყვა - „**ალბათ**“:

„... **ალბათ** ჯერ არ გაუგიათ-მეთქი და დაუკითხავად მივაწეე კარებს. ვერგავადე“ [მიშვ. 1977: 12]; „ბარონ როსტრუპის მშვენიერი პორცელანიც ალბათ ასეთ ადგილას ასაფლავია სადმე...“ [გამს. 1992: 28]; „ასიოდე წლის შემდეგ სამი პარალელური მოძრაობა იქნება ალბათ ქვეყანაზე: მიწაზე, მიწისზევით და მიწისქვეშ“ [გამს. 1992: 29].

დასახელებული ფუნქციით, ასევე, გამოირჩევა:

იქნება:

„მომლოცველნი რომ არ მოსულიყვნენ, **იქნება** დედა-შვილი ერთმანეთს არ გასცლოდა...“ [არაგვ. 1970: 364];

მგონი:

„...**მგონი** ისინი არიან“ - წამოჯდომით წაიბუტბუტა“ [არაგვ. 1970: 275];

ეგებ:

„ეგება მკაცრს მოხუცი დედა ჰყავს, სახლში, ზის მოხუცი, თავის ხელსაქნარს აკეთებს და არც კი იცის, რომ მისი შვილი აგერ ჩემს თვალწინ ჰკიდია ხეზე... ეგებ, ეგებ...“ [გამს. 1992: 41];

ქართულ და ინგლისურ ნოველებში დადასტურებული ეპისტემური მოდალობის შექმნის ძირითადი ლექსიკო-სემანტიკური საშუალებები წარმოდგენილია ცხრილში:

	ინგლისური ნოველა	ქართული ნოველა
ვარაუდის გამომხატველი სიტყვები	<i>Perhaps, guess, Maybe, Seem I suppose</i>	<i>იქნებ, ალბათ თითქოს, მგონი ეტყობა, ეგებ</i>
დარწმუნებულობის გამომხატველი სიტყვები	<i>Really, Of course Certainly Truly, Indeed</i>	<i>მართლა, ნამდვილად რასაკვირველია</i>

ამრიგად, კვლევი სშედევად დადგინდა, რომ დეონტური მოდალობა, რომელიც ინგლისურ ნოველებში ძირითადად *must* მოდალური ზმნით, ხოლო ქართულში ზმნური წარმოშობის ნაწილაკი „უნდა“ + II კავშირებით მიიღწევა, ნოველების ენის ერთ-ერთი ნიშანდობლიობაა;

ეპისტემური მოდალობა ქართულ ნოველაში ძირითადად ლექსიკო-სემანტიკური საშუალებებით იქმნება, ინგლისურ ნოველებში კი ლექსიკო-გრამატიკულ იდა ლექსიკო-სემანტიკურით;

ალბათობის, ვარაუდის გამომხატველი მოდალური სიტყვებიდან ქართულში ჭარბობს „ალბათ“, ხოლო ინგლისურში „perhaps“ — ჩართული სიტყვები; დარწმუნებულობის გამომხატველი მოდალური სიტყვები ქართულ ნოველაში შედარებით მცირე რაოდენობითაა, ინგლისურში კი დომინირებს „of course“

ზოგადი დასკვნები

ინგლისურ-ქართული მოდალური ფორმების შედარებითმა ანალიზმა ჩამოაყალიბა ეკვივალენტობა, რომელიც ბუნებრივად შეიძლება წარიმართოს ნებისმიერ ენებს შორის. ეკვივალენტობა ეხება როგორც სემანტიკური, ასევე გრამატიკული და ლექსიკური საშუალებების ურთიერთკავშირს ორ სტრუქტურულად განსხვავებულ ენაში. მოდალობის კატეგორიის ურთიერთშესაბამისობის დასამტკიცებლად ჩვენი ნაშრომისთვის გამოსავალი სემანტიკა იყო. აქედან გამომდინარე, მასალების შედარებამ გამოავლინა ის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, რომელიც მოდალობასთან დაკავშირებით იჩენს თავს. საერთოა, შეიძლება ვთქვათ, ზოგადი სემანტიკური კატეგორიების _ შესაძლებლობისა და ვალდებულება/აუცილებლობის _ არსებობა ორივე ენაში. განმასხვავებელია როგორც მათი სემანტიკური დეტალები, ასევე მათი გამოხატვის საშუალებები და მეთოდები. მაგალითად, შესაძლებლობის გამოსახატავად (მოდალურ ზმნებთან ერთად) გამოყენებულია მოდალური ზმნები „can“ და „may“. „Can“ მოდალური ზმნით გამოხატულია ადამიანის ფიზიკური ან გონებრივი შესაძლებლობა, ხოლო „may“ გამოხატავს ისეთ შესაძლებლობას, რომელიც ობიექტურ ფაქტორებზეა დამოკიდებული. ეს მათი ძირითადი მნიშვნელობაა. აღნიშნული მოდალური ზმნები (მოდალური ზმნები ზოგადად) გამოირჩევიან პოლისემანტიზმით, ანუ ბევრ მსგავსებას ავლენენ შინაარსში, რის გამოც მათი შინაარსობრივი ველები მკვეთრად იკვეთება. იგივე მნიშვნელობით ქართულში ვიყენებთ „შეძლება“ ზმნა. „შეძლება“ სუბიექტურ და ობიექტურ შესაძლებლობას ვერ ანსხვავებს: მე შემიძლია ანუ მაქვს ამის უნარი ან საშუალება... სემანტიკური დეტალების ფართო სპექტრის გადმოცემა ხერხდება მოდალური ზმნებით,, გრამატიკული ფორმების, მოდალური ნაწილაკების, ლექსიკური საშუალებების გამოყენებით, კავშირებით. მაგალითად, უარყოფით ფორმებში განსხვავებულისიტუაციაა: ძირითადი ზმნა, რომელიც დაკავშირებულია ზმნის მნიშვნელობასთან, უარყოფით ფორმებს წარმოგვიდგენენ არამოდალური ხერხებით. „შეძლების“ განსხვავებულ მოდალურ მნიშვნელობებს უარყოფითი ნაწილაკები - არ, ნუ, ვერ - გადმოგვცემენ. ასევე უარყოფითი ნაწილაკები აზუსტებენ კითხვითი ფორმების მოდალურ მნიშვნელობას (არ გააუკეთებ? ვერ გააკეთებ?).

ინგლისურ მოდალურ ზმნებს დროული განსხვავება (მცირე გამონაკლისის გარდა) არ აქვთ მკვეთრად გამოხატული.

ჩვენ მიერ განხილულ ცენტრალურ მოდალურ ზმნებს, გარდა must-ისა, აქვთ ნამყოფ მარკირებული ფორმები: can-could, may-might, მაგრამ მათ შორის დროული განსხვავება თითქმის მოშლილია. თუ ამ ზმნათა perfect infinitive-ის ზმნების ფორმები მეტ წილად რჩებიან წარსული დროის ფარგლებში, simple infinitive-ის ზმნის ფორმები თანაბრად აღნიშნავენ ახლანდელ, მომავალ ან წარსულ დროებს და, ხშირად, ერთსა და იმავე შინაარსს მოიცავენ. ასევეა must, რომელიც უცვლელი ფორმებით გვევლინება სამივე დროში. შესაბამისი ფორმალური განსხვავებები

გამოყენებულია უფრო განსხვავებული სემანტიკური ნიუანსების გადმოსაცემად. ქართულ ენაში სრულიად განსხვავებული გარემოება გვაქვს. დროში განსხვავებები (წარსული, ახლანდელი, მომავალი) შენარჩუნებული გვაქვს და საწინააღმდეგო მნიშვნელობის თვალსაზრისით ისინი კონტრასტულ როლს არ თამაშობენ (შდრ. შეიძლება თამაში, შეიძლებოდა თამაში, შეეძლება თამაში, შეეძლებოდა თამაში, შეეძლო თამაში, შეძლებია თამაში). ხოლო ინგლისურ-ქართულ გრამატიკულ ეკვივალენტებს რაც შეეხება, გადმოცემული დროების და გამოყენებული მეთოდებისგათვალისწინებით, ამ სფეროში, ზოგადად, შეიძლება რამდენადმე პერმანენტულიტავისებურებისგამოვლენა. მოყვანილია მხოლოდ მთავარ მოდალურ ზმნათა გრამატიკული შესიტყვებები:

can

1. მომავალი _ შეძლება+II კავშ.; მყოფადი

simple infinitive

2. ახლანდელი _ ინფინიტიური კონსტრუქცია: შეძლება+სრულმნიშვნელობიანი ზმნის საწყისი ან პირიანი ფორმა; აწმყო; უწყვეტელი.

perfect infinitive

3. წარსული _ შეძლება+II თურმ.; წყვეტილი; უწყვეტელი; ხოლმეობითი.

Could

simple infinitive

1. მომავალი _ II კავშირებითი; მყოფადი. ახლანდელი _ აწმყო

perfect infinitive

2. წარსული _ (შეძლება) +II თურმეობითი; ნ/წყვეტილი; ნ/უწყვეტელი; ხოლმეობითი.

May

simple infinitive

1. მომავალი _ «იქნებ», «შეიძლება», «უნდა», "ნების აღება» +II კავშირებითი.

2. ახლანდელი _ აწმყო

perfect infinitive

3. წარსული _ შეძლება+ II თურმეობითი; ნ/უწყვეტელი; შეძლება+წყვეტილი.

Might

simple infinitive

1. მომავალი _ შეძლება+II კავშირებითი; მყოფადი.
2. წარსული _ შეძლება+II თურმეობითი; უწყვეტელი.

perfect infinitive

3. წარსული _ შეძლება+II თურმეობითი, უნდა+II თურმეობითი, ნ/უწყვეტელი.

Must

simple infinitive

1. მომავალი _ უნდა+II კავშირებითი; მყოფადი
2. ახლანდელი _ აწმყო+მოდალური ნაწილაკები.
3. წარსული _ უნდა+II თურმეობითი.

perfect infinitive

4. წარსული _ უნდა+II თურმეობითი, ნ/წყვეტელი.

წარმოდგენილ მაგალითებში ნათლად ჩანს, თუ რომელ გრამატიკულ შესატყვევებს ქმნის, ძირითად, II თურმეობითისა და II კავშირებითის ფორმები, შესაბამისად, მყოფადისა და ნამყოს გამოსახატავად კავშირებითის ფორმებს ვიყენებთ მოდალურ სიტყვებთან და ნაწილაკებთან ერთად (ძირითადად) და, ასევე, დამოუკიდებლად მათ გარეშე. არამოდალური ფორმებიც (დროების შესაბამისობის დაცვით) გვხვდება მოდალური სიტყვებისა და ნაწილაკების თანდართვით, რაც უდავოდ საჭიროა მოდალური შინაარსის გამოსახატავად. ძირითადად, კონტექსტი განაპირობებს, თუ რომელი არამოდალური ზმნებისა და მათი ფორმების გამოყენება გვჭირდება.

სათარგმნი ენისა და თარგმანის ენის შედარებისას საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მათ შორის სხვაობა შეინიშნება. თარგმანის ენა (ჩვენ მიერ მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით) მოდალურობის გამოყენების და ამგვარი ზმნების სიმრავლის თვალსაზრისით უფრო შეზღუდულები ვართ, ვიდრე დედანის დამწერლობის შემთხვევაში. ასეთი შემთხვევაშირაოდენარაბუნებრივობისიმიტაციას ქმნის, რაც სათარგმნი ენის გავლენით (ნაწილობრივ ან მეტწილად) შეგვიძლია ავხსნათ.

მოდალობა სხვადასხვა ენებში გამოხატულია, ლექსიკური, მოდალური, გრამატიკული, ინტონაციური და ტექსტუალური საშუალებებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ენობრივი უნივერსალია; ის ექსპრესიას პოულობს ენის სხვადასხვა დონეზე, თუმცა მიუხედავად მისი უნიკალურობისა, ყველა ენა განსხვავებულად გამოხატავს მოდალობის სხვადასხვა ასპექტებს, რომლთა შორის განსაკუთრებულ და

აშკარად გამოხატულ როლს ასრულებენ გრამატიკული საშუალებები. ინგლისური და ქართული ენების მოდალობის არეალი სემანტიკური ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოდალური ნიშან-თვისებები ორივე მათგანში ფუნქციურად მსგავსია. ფუნქციათა სისტემა ორივე ენაში მოდალობის არეალის სემანტიკური პოტენციალის სიახლოვეს გამოხატავს და მის უნივერსალურ თავისებურებაზე მეტყველებს. ამ ორ ენას შორის არსებული სხვაობა ამ ენათა ინდივიდუალური და მათი სტრუქტურული უნიკალურობითაა განპირობებული.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ინტერნეტი:<https://www.google.com/search?q=%E1%83%9B>
2. (<http://rae.ru/forum2012/18/3311> retrieved on June 1st, 2013)
3. Смирницкий А.И. Морфология Английского Языка. Москва, 1956.
4. ჰარისი, 1995 - HARRIS, A. C.,1995. Modal Auxiliaries in Georgian, “Philological Papers”, Tbilisi
5. შარაშენიძე, 2014 - SHARASHENIDZE, N., 2014., Epistemic Modality in Georgian, Verbum, Vilnius, 2014
6. ჰაანი, 2009 - HAAN, F. de, 2009. Epistemic must, Studies on English Modality.
7. Смирницкий А. И. Морфология английского языка, Москва:Изд лит. на иностр. яз., 1957.
8. Смирницкий А. И. Синтаксис английского языка, Москва: Изд.лит. на иностр. яз., 1959.
9. (<http://rae.ru/forum2012/18/3311> retrieved on June 1st, 2013)
10. თარგმანის კვლევების დასავლური პარადიგმები: ლიტერატურის მცოდნეობითი და ლინგვისტური პერსპექტივები; კადმოსი 7, 2015
11. Palmer Goldfield 1986 espace.library.uq.edu.au
12. Khaimovich, 1967
13. Quirk 1985: 141-146
14. Реформатский, 1987: 262
15. კვაჭაძე, 1988: 31
16. ვულფი, 2013: 136
<https://ebooks.adelaide.edu.au/w/woolf/virginia/w91h/chapter16.html>
17. Mounin, 1967: 67
18. Нелюбин, 2003: 140
19. Бархударов, 1975: 41
20. Галперин, 1958: 64
21. Ахманова, 1966: 316
22. Jakobson, 1959:16
23. Комиссаров, 1990: 118
24. Catford, 1965
25. Федоров, 1983
26. Firth, 1956
27. გაჩეჩილაძე, 1970

28. Гумбольдт, 1984: 40
29. Newmark, 1981:65
30. Koller, 1989: 99-104
31. Palmer 1990: 118;
32. Facchinetti 2000: 118
33. Lakoff 1972
34. Coates 1983: 127-129
35. Collins 2009: 15
36. Quirk 1985: 141-146
37. Khaimovich, 1967: 203
38. ყიფიანი, 2008: 46-48
39. ლორთქ. 1958: 78
40. მახარაძე, 2010: 238
41. გოქსაძე, 1993 _ L. S. Goksadze, Catenative Relation and Problems Connected with Non-finite Forms of the Verbs in Modern English. – The Herald of the Doctorate Submitted to Gain the Doctor's Degree in Philology, Tbilisi, 1993.
42. ბარბუღაროვი, 1975 _ Л. С. Бархударов, Язык и перевод, М., 1975.
43. Розенталь & Теленкова, 1976: 181
44. ლაიონზი: 326
45. გრიგოლია ნინო. „ინგლისური ენის მოდალური ზმნებისა და ერთეულების შესატყვისები ქართულში“. 2018 თბილისი